ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+ „ჩერჩილი“

yfobkb 66

8 ლარი

2 მაისიდან
16 მაისამდე




სამშაბათი, 3 მაისი, 2011 №103 (5484) ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილს კონტროლირებადი აქციები აწყობს



გვ.3

## სახალხო კრება ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას 21 მაისიდან იწყებს

გვ.2





გვ.4

## *ეკა ბესელია:* დეპუტატი მამუკა გუგეშაშვილი ცნობილი „მაზავშრიკია“

## ლევან ვეფხვაძე და ლაშა თორდია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

გვ.4



## ბენ ლადენის მოკვლა საქართველოსთვის სახიფათო არ არის

გვ.6



## ქაგანია ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვს

გვ.4




## კობა დავითაშვილი სახალხო კრების საპროტესტო აქციაში მონაწილეობას არ აპირებს

გვ.3

## 3090
## sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## 10 გოლუხვ მატჩში კლასმა იმარჯვა

## 2 საპარლამენტო ოპოზიციას აქციების გაგონება არ უნდა

ISSN 1987-9385

შედით საიტზე atb.ge



# სახალხო კრება ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას 21 მაისიდან იწყებს

**21 მაისიდან „სახალხო კრება" დანაპირების შესრულებას იწყებს. დანაპირები, არც მეტი, არც ნაკლები, ხელისუფლების შეცვლაა, თუნდაც რევოლუციის გზით.**
**გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „სახალხო კრების" გეგმა საზოგადოებას ნონა გაფრინდაშვილმა გააცნო.**



ნათია ხურცილავა

— სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა ხალხს მოუსპო შესაძლებლობა დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნებით გამოხატოს საკუთარი ნება. ამიტომ, ხალხს დარჩა ერთადერთი გზა, გამოიყენოს მისთვის კონსტიტუციის მე-5 მუხლით გარანტირებული და მინიჭებული უფლება — თავისი ძალაუფლება განახორციელოს პირდაპირი და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების გამოყენებით. მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის შემდეგ არის შესაძლებელი ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, — ნათქვამია „სახალხო კრების" განცხადებაში.

„სახალხო კრების" თანახმად, ისინი საბოლოო ბრძოლის გადაწყვეტილებას იღებენ.

— ვაცხადებთ საბოლოო ბრძოლას სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმისაგან ქვეყნის განთავისუფლების მიზნით. ბრძოლას სამშობლოსთვის. ბრძოლას დემოკრატიისთვის. ბრძოლას სიდუხჭირის დასაძლევად. ბრძოლას ღირსეული მომავლისთვის. ვიწყებთ საერთო სახალხო გამოსვლებს, რომლის დროსაც ჩვენი კონსტიტუციური უფლებების აღსადგენად მივმართავთ სამოქალაქო წინააღმდეგობების ყველა ფორმას და მეთოდს.

ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, თბილისის სამოქალაქო წინააღმდეგობის კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მხარდამჭერთა შეკრება ფილარმონიის წინ.

აღმოსავლეთ საქართველოს სამოქალაქო წინააღმდეგობის კომიტეტებმა კი უზრუნველყონ მხარდამჭერთა შეკრება თბილისში ავლაბრის მოედანზე.

დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო წინააღმდეგობის კომიტეტებმა უზრუნველყონ მხარდამჭერთა შეკრება თბილისში ვარდების მოედანზე.

თავშეყრის სამივე ადგილიდან გაიმართოს კოლონათა მსვლელობა თავისუფლების მოედნის მიმართულებით, — ასეთია ის გეგმა, რომლის გახმოვანებაც გუშინ „სახალხო კრების" წევრებმა თავიანთ მხარდამჭერებთან ერთად მოახდინეს.

— 21 მაისს 15 საათზე თავისუფლების მოედანზე შეიკრიბება ყველა ჩვენი თანამემამულე, ვინც რეალურად მზად არის იბრძოლოს სააკაშვილის რეჟიმისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად, — ასე მოუწოდეს მხარდამჭერებს „სახალხო კრების" ორგანიზატორებმა.

— თბილისში შეკრებისა და გამოსვლების პარალელურად აჭარისა და გურიის სამოქალაქო წინააღმდეგობის რაიონულმა კომიტეტებმა უზრუნველყონ მხარდამჭერთა შეკრება და აქციის გამართვა ბათუმში ერას მოედანზე. სამტრედიის, ხაშურის, ხარაგაულისა და ზესტაფონის სამოქალაქო წინააღმდეგობის რაიონულმა კომიტეტებმა უზრუნველყონ მხარდამჭერთა შეკრება ადგილზე. შეფიცულთა ჯგუფებმა უზრუნველყონ კოლონების გადაადგილებისა და მოქალაქეების უსაფრთხოება, — ასეთია ის მოწოდება, რომელიც გუშინ ნონა გაფრინდაშვილმა გააკეთა.

„სახალხო კრების" შტაბმა 2 მაისიდან 21 მაისამდე უნდა უზრუნველყოს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება.

— დარწმუნებული ვართ, რომ ის პოლიტიკური ძალები, ვისაც გაცნობიერებული აქვთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და რეალურად უნდათ ქვეყნის სააკაშვილის რეჟიმისგან განთავისუფლება, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში საკუთარ ხალხთან დადგებიან.

„სახალხო კრება" არ გაურიგდება სააკაშვილის დამნაშავე ხელისუფლებას. თითოეული ჩვენგანის აქტიურობა აიძულებს ხელისუფლებას, სწრაფად და მშვიდობიანად დაემორჩილოს ხალხის ნებას. საერთო სახალხო გამოსვლები დამნაშავე რეჟიმის დემონტაჟით დასრულდება, — ნათქვამია „სახალხო კრების" გადაწყვეტილებაში.

რომელი ოპოზიციური პარტია გამოეხმაურება „სახალხო კრების" ამ მოწოდებას, ჯერ არ არის ცნობილი.

„სახალხო კრების" ლიდერები აცხადებენ, რომ პრეზიდენტი გადადგება და დაინიშნება სამართლიანი არჩევნები.

„სააკაშვილი გადადგება და ჩვენ მოვიპოვებთ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების უფლებას და ჩვენ ერთად გადავარჩენთ ჩვენს სამშობლოს.

ჩვენ სახლებში მხოლოდ გამარჯვებულები დავბრუნდებით. ჩვენ დავიბრუნებთ ღირსებას და ვიცხოვრებთ უკეთესად. ჩვენ აღვადგენთ სამართლიანობას და დავამყარებთ წესრიგს ქვეყანაში.

ძალა ხალხშია". ასეთია ის გეგმა, რომელიც ერთი თვის შემდეგ გახდა ცნობილი.

— სააკაშვილი და მისი გარემოცვა ყოველდღიურად მდიდრდება. ყვავის ელიტარული კორუფცია. ხალხის ხარჯზე ზღვარგადასული ფუფუნება და გართობა სააკაშვილისთვის და მისი გარემოცვისთვის ცხოვრების წესად იქცა. სააკაშვილის და მისი დამნაშავე ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად დღეს საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა: ხელიდან გვეცლება მამული, ილახება ქართული ენა, ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატია, გათელილია მოქალაქის ყველა კონსტიტუციური უფლება, ქვეყანაში დამკვიდრებულია შერჩევითი სამართალი, რეჟიმი მფარველობს მკვლელებს, ამავდროულად პირობით მსჯავრს იყენებს პოლიტიკურ იარაღად. დღევანდელი უგუნური და უპასუხისმგებლო პოლიტიკა საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის სახელმწიფოებრიობას. დაკარგულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი და რეალურად არსებობს საფრთხე, ისევ დაიკარგოს ქართული მიწა-წყალი. რაც დროს გადის, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად გვაშორებს ქვეყნის გაერთიანების პრესპექტივას, — ნათქვამია „სახალხო კრების" განცხადებაში.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი „სახალხო კრების" გეგმის გახმოვანებას ესწრებოდა. ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი „სახალხო კრების" იდეას მხარს თავიდანვე უჭერდა. თუმცა, გუშინ კომენტარები არ გაკეთებულა, თუ როგორ აპირებენ გახმოვანებული გეგმის აღსრულებას.

კომენტარზე უარი თქვა ამ იდეის ავტორმა ნინო ბურჯანაძემ. გადაწყვეტილების გახმოვანების შემდეგ „სახალხო კრების" ლიდერებმა პრესის კითხვები უპასუხოდ დატოვეს.

# საპარლამენტო ოპოზიციას აქციების გაგონება არ უნდა

ნანა მიშელაშვილი

**წარმომადგენლობითი სახალხო კრების მიერ დაწყებულ საპროტესტო აქციებს საპარლამენტო ოპოზიცია სავარაუდოდ არ შეუერთდება. მართალია საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტში მყოფ ოპოზიციურ პარტიებს ჯერ მკაფიოდ არ განუცხადებიათ, თუმცა, ისეთი პირი უჩანს, რომ პარლამენტში მყოფნი აქციებს არ შეუერთდებიან.**

სახალხო კრება საპროტესტო აქციებს თბილისში 21 მაისს დაიწყებს. ამავე დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც გაიმართება აქციები.

საპროტესტო აქციების დაწყების შესახებ განცხადება გუშინ გაკეთდა. თუმცა, მანამდე გარკვეული მოლოდინი არსებობდა, რომ აქციები 2 მაისს დაიწყებოდა. წარმომადგენლობითი სახალხო კრების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ აქციების დაწყების თარიღად 2 მაისი არ დაუსახელებიათ და ეს დეზინფორმაცია ხელისუფლების მხარდამჭერმა მედიის საშუალებებმა გაავრცელეს.

საპროტესტო აქციების მიმართ ოპოზიციის სხვადასხვა ფრთას სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს. საპროტესტო აქციების მხარდამჭერნი მათ აკრიტიკებენ, ვინც ამგვარ აქციებს არ ეთანხმება. სწორედ ეს შეუთანხმებლობა ხდება შემდეგში ერთმანეთის ლანძღვის მიზეზი.

21 მაისის საპროტესტო აქციები ოპოზიციის შიგნით უთანხმოების მიზეზი კიდევ ერთხელ გახდება. ამის თქმის საფუძველს ის წინაპირობა იძლევა, რა სასტარტო პირობებიც ახლა არის.

საპარლამენტო ოპოზიცია აქციებში მონაწილეობის მიღებას არ გეგმავს. საკანონმდებლო ორგანოში მყოფნი საპროსტესტო აქციებში მონაწილეობისგან თავს ადრეც იკავებდნენ.

ქრისტიან-დემოკრატების წევრი ლევან ვეფხვაძე ხელისუფლების ცვლილების მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო გზაზე საუბრობს.

— მე მგონი, პირველი არ არის და საიდუმლოებას არ წარმოადგენს ჩვენი სტრატეგია. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში პროცესების რევოლუციური განვითარება მომავალში კარგი არ იქნება. შესაბამისად, ჩვენ აქციებს განვიხილავთ არა ხელისუფლების ცვლილების, არამედ ხელისუფლებაზე ზეწოლის საშუალებად, იმისათვის, რომ მან დათმოს და ადეკვატური საარჩევნო გარემო მივიღოთ და არჩევნების გზით შევცვალოთ ხელისუფლება. ეს არის ჩვენი პოზიცია, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

აქციების დაწყებასთან დაკავშირებით უმრავლესობის წევრებიდან მცირე კომენტარი მხოლოდ ლაშა თორდიამ გააკეთა. სხვა დეპუტატებს ამ საკითხზე საუბარი არ სურდათ.

— ერთი რაღაც შეიძლება ითქვას, არც 2-ში, არც 21-ში, არც ნებისმიერ სხვა რიცხვში პუტინთან მოსიარულე პარტიებს ქართული საზოგადოების მხარდაჭერა არ ექნება, — ასეთია ლაშა თორდიას პოზიცია.

ოპოზიციიდან ვინ შეუერთდება საპროტესტო აქციებს და ვინ არა, ეს თანდათან გამოიკვეთება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოპოზიციური „რვიანიდან" ვინმე შეუერთდეს დაანონსებულ აქციებს.

# ოპოზიციის საპროტესტო აქციების მხარდამჭერი შესაძლოა მხოლოდ რუსეთი იყოს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელი მიიჩნევს, რომ წარმომადგენლობითი სახალხო კრების მიერ 21 მაისიდან დაგეგმილ აქციებს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ ექნება.

როგორც მან „მედიანიუსს" განუცხადა, რევოლუციაზე, დაპირისპირებაზე, არეულობაზე ორიენტირებული, უმცირესი გამონაკლისის გარდა, არავინ არის.

— რეგიონებში ბევრს დავდივარ და ყველა დასაქმებაზე, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე, შვილების განათლებაზე, სოფლის მეურნეობის და ა.შ. ქვეყნისათვის საჭირ-



ბოროტო საკითხების მოგვარებაზე არის ორიენტირებული. მომავალ არჩევნებამდე წელიწადნახევარი არის დარჩენილი და არეულობა რატომ უნდა იყოს? თუ ხელისუფლებაში მოსვლა გინდა, ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ საარჩევნო პირობებში მეტი ამომრჩეველი მიიმხრო. ასეთ აქციებს მხარდაჭერა არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ ექნება. მათი მხარდამჭერი შეიძლება მხოლოდ რუსეთი იყოს, — აღნიშნა გიგი წერეთელმა.

მისი თქმით, დაგეგმილი აქციების ორგანიზატორები ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლაზე საუბრობენ, რაც მათი მოსაზრებაა და რის გამოხატვასაც არავინ უკრძალავს. თუმცა როცა კონკრეტულ ქმედებებზე გადავლენ, ეს მოქმედება კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს, პროვოკაციული არ უნდა გახდეს და იმაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, რომ პოლიციამ უკანონობის აღსაკვეთად ძალა გამოიყენოს.

— აქციის კანონის ფარგლებში ჩატარებას არავინ კრძალავს, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი. მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დესტაბილიზაცია არ მოხდეს და კანონგარეშე მოქმედებებით არაკეთილმოსურნის წისქვილზე არ დავასხათ წყალი. ჩვენს საზოგადოებაში ამის განწყობას ვერ ვხედავ. ჩვენი ხალხი ისეთი შეუგნებელი არ არის, რომ 20 წლისწინანდელი შეცდომები გაიმეოროს, რამაც უმძიმესი შედეგები მოგვიტანა,— აღნიშნა გიგი წერეთელმა.

მედიანიუსი

# „თავისუფალი დემოკრატები" ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ერთგულები რჩებიან

„თავისუფალი დემოკრატები" ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ერთგულები რჩებიან.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ, თეა წულუკიანმა განუცხადა „სახალხო კრების" მიერ დღეს გაკეთებული განცხადების კომენტირებისას.

მისი თქმით, „თავისუფალი დემოკრატების" გზა არის უცვლელი, თანმიმდევრული და რაც მთავარია პრაგმატული, რაც ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო გარემოს დათმობასა და თავისუფალი არჩევნების მოპოვებაში მდგომარეობს.

— პოლიტიკური გაგებით, დღევანდელ სიტუაციაში ეს არის ჩვენი ყველაზე რეალისტური გზა. გაამართლებს თუ არა ეს გზა, ეს მაისის ბოლოს გამოჩნდება. მივიჩნევ, რომ ეს გზა არის ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი ქვეყნისთვის და უფრო მეტიც, თუ ამ გზამ შედეგი გამოიღო, რისიც გვჯერა, ეს იქნება სახელმწიფოებრიობისთვის უმნიშვნელოვანესი, — განაცხადა წულუკიანმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილს კონტროლირებადი აქციები აწყობს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

*— ბატონო კახა, რვიანი აცხადებს, რომ დღეს საპროტესტო გამოსვლები, აქციები, სწორედ რომ ხელისუფლებას აწყობს და სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალსო. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?*

— ამაში გარკვეული ლოგიკა არსებობს, თუმცა მათი მხრიდან ამაზე საუბარი ცოტა არ იყოს უხერხულია, ის, რასაც ისინი აკეთებენ, სწორედ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. დღეს, სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ ჩვენი პარტიის თავისუფალი საქართველოს გარდა და სულ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანების გარდა, იმ ძალას, რომელიც დაინტერესებული არის ხელისუფლების შეცვლით. პოლიტიკური ძალები უმეტესწილად დაკავებულები არიან რაღაც თავიანთი პოლიტიკური ადგილის პოვნით, პოლიტიკურ სისტემაში და ამ მიზნით ისინი ამა თუ იმ ფორმით თამაშობენ ხელისუფლებასთან.

*— როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, რომ მართლა აწყობდეს სააკაშვილს დღეს არეულობა?*

— სააკაშვილს აწყობს კონტროლირებადი აქციები, რომელიც არ იქნება ისეთი მასშტაბური, რომ საფრთხე შეუქმნას ხელისუფლებას, მაგრამ იქნება 5-10 ათასკაციანი აქციები, რომელიც გამოიწვევს არა ხელისუფლების რღვევას, არამედ კიდევ ერთ ახალ იმედგაცრუებას ოპოზიციის მიმართ. 5 ათასკაციანი აქციები ნამდვილად რომ წყალს დაასხამს მიხეილ სააკაშვილის წისქვილზე.

*— სახლხო კრება საკმაოდ დიდხანს აანონსებდაა ორ მაისს, როგორ ფიქრობთ, კიდევ ერთხელ ხომ არ გაუცრუვდება საზოგადოებას იმედი, სახალხო კრების დაანონსებული აქციები ვადაში ხომ არ გაიწელება?*

— ვერ გეტყვით, ხომ გაგიგიათ სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ყველამ თვითონ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი ხედვა. მე შემიძლია ჩვენი პარტიის ხედვა ჩამოვაყალიბო და გეუბნებით, რომ ჩვენ არ ვიღებთ მონაწილეობას ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, რადგან რეალურად ეს არის მოლაპარაკებები არა საარჩევნო კოდექსზე, არამედ იმაზე, თუ ვის გადაალახინებენ 5%-იან ბარიერს. ჩვენი პარტია თავისუფალი საქართველო, მონაწილეობას მიიღებს იმ აქციებში, ან თვითონ დაგეგმავს იმ აქციებს, რომელიც იქნება იმდენად მასშტაბური, რომ საფრთხეს შეუქმნის ხელისუფლებას, მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნებით, ჩვენ 5 ათასკაციანი აქციების დაგეგმვას პოლიტიკური მოთხოვნებით არ ვაპირებთ და ვფიქრობთ, რომ ამას არანაირი პერსპექტივა არა აქვს და ეს კიდევ ერთხელ ორთქლის გამოშვებას ისახავს მიზნად. სხვები ვინ რას აპირებენ და როგორი სამოქმედო გეგმა ექნებათ, ალბათ, თვითონ ჩამოაყალიბებენ. მე ერთი რამეც მინდა ვთქვა, რომ უკვე იმდენი პარტიაა საქართველოში და იმდენი სამოქმედო გეგმაა და იმდენი თემა არის გაცემული, რომ ამ ვირტუალურ მოქმედებებს არანაირი ფასი არა აქვს, სანამ არ დაიწყება რეალური მოქმედებები. სანამ საზოგადოება არ დაინახავს მოქმედებას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხრიდან. მხოლოდ დაპირებები, რომ ჩვენ შევცვლით და ჩვენ გავაუმჯობესებთ, ჩვენ დავამხობთ და ჩვენ ბოლოს მოვუღებთ, ეს არაფერს ნიშნავს. ამის თქმა ყველას შეუძლია.

*— ფიქრობთ, რომ ეს, წინასწარ დაანონსებული განცხადებები არაფრის მომტანია?*

— მე სკეპტიკურად ვუყურებ, მოდი, ასე ვთქვათ. მე არა ვარ ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია და შეიძლება მე ვცდებოდე და თუ ვცდები და ვინმე მართლაც სერიოზულადაა მომზადებული, ეს გამოჩნდება, ახლა რევოლუცია საიდუმლოდ ხომ არ მოხდება სადმე მიწისქვეშეთში. ეს უნდა დავინახოთ თბილისში, რუსთაველის გამზირზე.

*— თქვენ თუ მიიღებთ მონაწილეობას, თუნდაც იგივე სახალხო კრებამ თუ გაააქტიურა ეს პროცესი, ჩაერთვებით ამაში?*

— რა თქმა უნდა, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, იმიტომ, რომ ჩვენი ამოცანა, ჩვენი პარტიის ნომერ პირველი ამოცანა — ეს არის სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა.



*— რაც შეეხება ქართულ პარტიას, ვიცით, რომ გაქვთ მათთან გარკვეული თანამშრომლობა, მოლაპარაკებები, აპირებთ მათთან ერთად აქტიურად იყოთ ჩართული პროცესებში?*

— დავაზუსტებ ამასაც, მე ეს არაერთხელ მითქვამს და მერე არასწორად ვრცელდება ხოლმე. ქართულ პარტიასთან მე არანაირი ურთიერთობა არ მაქვს, მე მაქვს პირადი, მეგობრული ურთიერთობები კოკა გუნცაძესთან და ლევან გაჩეჩილაძესთან. პარტიულად ჩვენ არანაირი ურთიერთობები არა გვაქვს და ქართული პარტიის გეგმებში ვერც ჩვენს ადგილს ვერ ვხედავ და რაიმე პარტიულ ალიანსს ჩვენ არ წარმოვადგენთ.

*— თუმცა, ქართულმა პარტიამ თუ დაიწყო აქციები აუცილებლად ჩაერთვებით მასში?*

— რა თქმა უნდა, ვისი დაწყებულიც არ უნდა იყოს, აქ პარტიის სახელს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

*— ქართული პარტია აცხადებს, რომ ისინი შეძლებენ წელს შეცვალონ ხელისუფლება. რამდენად ხედავთ თქვენ ამის შანსს?*

— ვერ ვხედავ. მე ვერ ვხედავ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ასე არის, ან ასე არ არის. მე უბრალოდ გამომდინარე იქიდან, რაც დღეს ხდება საქართველოში, რაც დღეს ხდება თბილისის ქუჩებში, რეგიონებში, მე ვერ ვხედავ, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა რეალურად მზად იყოს, ხელისუფლებას მიაყენოს, ასე ვთქვათ, სასიკვდილო დარტყმა. ამის მზადყოფნას მე დღეს ვერ ვხედავ და უნდა ითქვას, რომ მე მარტო ტელევიზიების ინფორმაციებით არ ვმსჯელობ. საკმაოდ ჩახედული ვარ ამ სამზარეულოში, ვიცნობ იმ ხალხს, ვინც წესით ამაში უნდა იყოს ჩართული და ასე ვთქვათ, პულტზე ხელი მიჭირავს.

*— ფიქრობთ, რომ არც საზოგადოებაშია ეს განწყობა?*

— პირიქით, საზოგადოებაში არის სრული მზადყოფნა, ეს მზადყოფნა არ არის პოლიტიკურ ძალებში, პოლიტიკურ ოპოზიციაში.

*— მაინც რა პერიოდი, რა დროა საჭირო იმისთვის, რომ მზად იყოს ოპოზიციური პარტიები ამ პროცესის დასაწყებად?*

— ჩვენმა პარტიამ — თავისუფალმა საქართველომ იმიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბების შესახებ, რომ ეს მზადყოფნა ვერ დავინახეთ სხვა სტრუქტურებში. ამიტომ ჩვენ გვინდა ჩვენს თავზე ავიღოთ ეს პასუხისმგებლობა, ჩვენ გვინდა ახალგაზრდა საშუალო თაობას, მოტივირებულ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლების შეცვლისთვის არიან მოწოდებული, გავუკეთოთ, ასე ვთქვათ, კონცენტრირება და თავი მოვუყაროთ ერთ ორგანიზაციაში. ამას გარკვეული დრო უნდა, ზუსტად ამისი განსაზღვრა შეუძლებელია და ჩვენ არ ვაპირებთ ახლა, რომ რაღაცა არარეალური ანონსები გამოვაცხადოთ, მაგრამ ამ წუთისათვის ტაქტიკური ამოცანა არის, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მებრძოლი პოლიტიკური ძალა და არა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ერთი ხელით რომ დაპირებებს იძლევა ხელისუფლების შეცვლის შესახებ, მეორე ხელით იმავე ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, მესამე ხელით სხვა ოპოზიციურ პარტიებს ებრძვის, ეს არ არის რეალურად ის ძალები, რომლებიც ხელისუფლების შეცვლას შეძლებენ.

*— ასევე არ შემიძლია არ გკითხოთ რვიანის შესახებ. ისინი აცხადებენ, რომ მათ წარმატებას უკვე მიაღწიეს, საერთაშორისო თანამეგობრობა მათ მხარეზეა. თუმცა, ოპოზიციის მეორე ფლანგზე თვლიან, რომ მათი შანსები ნულის ტოლია. რატომ ფიქრობთ ასე, ხომ შეიძლება, რომ შანსი კიდევ იყოს?*

— რატომ ვფიქრობ ასე, მე მგონი, ეს კითხვა აწი უკვე დაგვიანებულია, რადგან დღეს შედეგი სახეზეა, ფაქტია, რომ ნულის ტოლია. მე ვთვლი, რომ ნული იქნება ამ მოლაპარაკებების შედეგი.

*— მათი პოზიცია ასეთია, რომ ერთხელ მაინც უნდა შევძლოთ და ხელისუფლება არჩევნების გზით შევცვალოთო...*

— ეს იგივე პოზიციაა, რაც მიხეილ სააკაშვილს, გივი თარგამაძეს, გიგა ბოკერიას, „რუსთავი 2“-ს, „იმედ“-ს და „რეალტივი“-ს აქვს, რომ არ შეიძლება ჩვენ დავუპირისპირდეთ სააკაშვილის რეჟიმს არჩევნების გარდა სხვა მეთოდებით. ხოლო თუ რეალურად ვიცით, რომ საარჩევნო გარემო არის თავიდან ბოლომდე გაკონტროლებული ხელისუფლების მიერ, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ არ შეიძლება შევცვალოთ ხელისუფლება. ყველა, ვინც ამბობს, რომ ნუ დავბრუნდებით 90-იან წლებში, როგორ შეიძლება დესტაბილიზაცია და როგორ შეიძლება მასობრივი აქციები, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ მიხეილ სააკაშვილის მესამე საპრეზიდენტო ვადას. საზოგადოება ცოტა უნდა დაფიქრდეს, რამ გამოიწვია ასეთი მეტამორფოზა იმ ადამიანებში, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ, რამდენიმე წლის წინ საპროტესტო აქციების დროს იყვნენ ამხედრებული ძალიან დიდი მასობრივი აქციების ტრიბუნებზე. მე ვფიქრობ, რომ ეს ადასტურებს იმას, რომ ეს არ არის ამ ხალხის შინაგანი რწმენა, არამედ რაღაც გარკვეულ სხვა ფაქტორებს აქვს განპირობებული მათი ასეთი რიტორიკა.

*— მათ მაისამდე მისცეს ვადა ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გვაქვს სხვა სამოქმედო გეგმაცო...*

— შემიძლია გითხრათ, რომ ესეც ბლეფია და მაისის შემდეგაც არაფერი არ დაიწყება.

*— თქვენ თუ ხედავთ იმის შანსს, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, რაღაც ამაზეც გაკეთდა მინიშნებები...*

— კი, რა თქმა უნდა. მიხეილ სააკაშვილი დღეს არის ძლიერი იმიტომ, რომ ის აკონტროლებს ოპოზიციის ორივე ნაწილს. ე.წ. კონსტრუქციულსაც და რადიკალურსაც. ორივე მხარეს პროცესებს აკონტროლებს და როდესაც ბოლოს მოუღებს ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც იმედებს, როდესაც იქნება სრული ფილტრაცია საზოგადოებაში, ერთის მხრივ იმიტომ, რომ საარჩევნო მოლაპარაკებები ჩაფლავდება და მეორეს მხრივ რევოლუცია, როდესაც იქნება სრული ურწმუნოება ოპოზიციის მიმართ, არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები. ამიტომაც ვამბობთ, რომ დღეს ჩვენთვის ტაქტიკური ამოცანა, რომ ქვეყანაში არსებობდეს რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც სააკაშვილს დაუპირისპირდება, ეს არის აუცილებელი. ამისი ძალა, ამისი სურვილი შესწევს მხოლოდ ჩვენს ორგანიზაციას, თავისუფალ საქართველოს და კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ეს იყო დიდი განსჯის შედეგი, როდესაც ჩვენ გადავწყვიტეთ ცალკე ორგანიზაციის დაფუძნება. მე დავკარგე ნდობა ბევრი ჩემი კოლეგის თუ პარტნიორის მიმართ და ვერ ვხედავ, რომ მათ დღეს ჰქონდეთ სურვილი ხელისუფლების შეცვლისა. ჩემი ამოცანა პირადად ქართულ პოლიტიკაში არ არის ის, რომ 2012 წლის არჩევნებზე, ჩვენმა ორგანიზაციამ ან ბლოკმა ბარიერი გადალახოს არჩევნებზე და ერთი მანდატი ჩავიდო ჯიბეში. ეს რომ ყოფილიყო ჩვენი ამოცანა, მაშინ ამ სურვილს 2008 წლის არჩევნებზევე დავიკმაყოფილებდით. ჩვენი ამოცანა არის ხელისუფლების შეცვლა. ამ სისტემის შეცვლა მთლიანად.

*— ამ ყველაფერს თქვენი გათვლებით რა დრო დასჭირდება, რომ ამისთვის მზად იყოს თქვენი პარტია?*

— დღეს წინასწარ პროგნოზების კეთება და წინასწარმეტყველება რთულია, მთავარია ჩვენთვის ამ წუთში ამ ტაქტიკური ამოცანის დაძლევა, რომ ჩვენ თავი მოვუყაროთ გაბნეულ აი, ამ მებრძოლ რესურსებს, რომლებიც დღეს არიან, ზოგი — სხვადასხვა ორგანიზაციაში, ზოგი საერთოდ უორგანიზაციოდ და ასე შემდგომ. თავი მოვუყაროთ ერთ სტრუქტურაში, ერთ პარტიაში, რომელიც ვიდრე არ მიაღწევს თავის მიზანს, მიზანი კი არის ხელისუფლების შეცვლა, იქნება ერთად. სამწუხაროდ, სპეცსამსახურებმა ბოლო წლებში ისე კარგად იმუშავეს, რომ მოახერხეს ამ ადამიანების დაქსაქსვა, ბევრ მათგანს საერთოდ ბრძოლის უფლება დაუკარგეს. აუცილებელი არის ჩვენ ეს ბრძოლის უნარიანობა დავუბრუნოთ ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ფორჩიან კანფეტებზე გაყიდული არ არის.

*— ბატონო კახა, რაც შეეხება მეორე თემას, თქვენი ორგანიზაცია და პირადად თქვენ ისედაც პრორუსულ ძალად ხართ მონათლული და კიდევ უფრო გააქტიურდა ამაზე საუბარი მას შემდეგ, რაც ითქვა, რომ ქართული ღვინის და მინერალური წყლის დაბრუნებას ხელს კახა კუკავა შეუწყობს რუსეთის ბაზარზე...*

— რაც შეეხება პრორუსულობას, ვიტყვი, რომ დეგენერატები ფიქრობენ ასე. იმიტომ, რომ რეალურად ძალიან მარტივი ლოგიკა არის საჭირო, ჩემო კარგო, რომ თუ გინდათ მეხუთე კლასელ ბავშვს დაუსვათ შეკითხვა — ქართული მინერალური წყლების და ქართული ღვინის დაბრუნებით რუსულ ბაზარზე, რუსეთი მოიგებს თუ საქართველო? ელემენტარულად ხომ შეიძლება ადამიანმა ეს შეკითხვა დასვას. რუსეთი ამით არაფერს არ მოიგებს, არც შემოსავალი მოემატება რუსეთს ამით, არც გამდიდრდებიან და არც რუსული ეკონომიკა გახდება უფრო ძლიერი. ამით გაძლიერდება ქართველი გლეხი, ქართული ეკონომიკა, ქართული ბიზნესი და ქართული ექსპორტი. აქედან გამომდინარე, პასუხიც არის მარტივი, რომ ეს საქმე არის პროქართული და არაპრორუსული. რაც შეეხება იმას, თუ რა ეტაპზე ვართ, ჩვენ ვასრულებთ მუშაობას ტექნიკურ და სამართლებრივ დოკუმენტაციაზე და მომავალ თვეში უკვე გაიმართება შეხვედრები, სადაც კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

*— გაჩნდა კითხვები, რატომ მაინცდამაინც კახა კუკავა?*

— ძალიან მარტივი მიზეზის გამო, იმიტომ, რომ ჩვენი პარტია თავისუფალი საქართველო, არის ერთადერთი პარტია საქართველოში, რომელმაც ღიად დააყენა ეს საკითხი, რომ ჩვენ გვინდა ქართული პროდუქციის დაბრუნება რუსულ ბაზარზე. სხვა პარტიები ამას ზოგი კულუარულ საუბარში, ზოგი სადღაც მინიშნებებით ამბობს, მაგრამ ხმამაღლა რცხვენიათ იმის თქმა, რომ საქართველოს რუსეთის ბაზარი სჭირდება. მათ ურჩევნიათ სიტყვის თავისუფლებაზე და რაღაცა კიდევ სხვა თემებზე ისაუბრონ, საჯარო გამოსვლების დროს, ვიდრე ამ თემაზე. ჩვენ ვამბობთ: რომ რაც კარგია ქართველი გლეხისთვის, ის კარგია ქართული სახელმწიფოსთვის და ქართული პოლიტიკისთვის. თუ კარგია ქართველი გლეხისთვის პროდუქტის დაბრუნება რუსულ ბაზარზე და ორი აზრი არ არის, რომ კარგია, მაშინ ეს კარგია ქართული სახელმწიფოსთვის და ქართულმა სახელმწიფომ ეს უნდა დაისახოს თავის მთავარ პრიორიტეტად. აი, ეს არის ჩვენი პოზიცია და არის ძალიან მარტივი.

## კობა დავითაშვილი სახალხო კრების საპროტესტო აქციაში მონაწილეობას არ აპირებს



კობა დავითაშვილი 21 მაისს სახალხო წარმომადგენლობით კრების მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობას არ აპირებს.

როგორც „ეროვნული საბჭოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მას თავის დროზე ეგონა, რომ „სახალხო კრება“ ოპოზიციურ ძალთა გაერთიანების ადგილად იქცეოდა, თუმცა მისი მოლოდინი არ გამართლდა.

— „სახალხო კრებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იგი ოპოზიციურ ძალთა დაპირისპირების ადგილად ქცეულიყო, — განაცხადა დავითაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 21 მაისს „სახალხო კრება“ ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს. შესაბამისი საპროტესტო აქცია თავისუფლების მოედანზე გაიმართება.

მედიანიუსი

## 53 ასაკში რონალდ ასმუსი გარდაიცვალა



53 ასაკში, მარშალის ფონდის ბრიუსელის ოფისის ხელმძღვანელი და საქართველოს აქტიური მხარდამჭერი, რონალდ ასმუსი გარდაიცვალა.

მისი გარდაცვალების მიზეზი სიმსივნე გახდა. ის ბრიუსელის კლინიკაში გარდაიცვალა.

რონალდ ასმუსმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს წიგნი, სახელწოდებით, „პატარა ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ მიუძღვნა, რომელიც რამდენიმე ენაზე ითარგმნა.

რონალდ ასმუსმა 2002 წელს ნატოს გაფართოების შესახებაც დაწერა ნაშრომი, სადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების აუცილებლობაზე ისაუბრა.

რამდენიმე თვის წინ რონალდ ასმუსი რუსეთ-საქართველოს ომზე დაწერილი წიგნის პრეზენტაციისთვის თბილისშიც იმყოფებოდა.

მედიანიუსი

# ლევან ვეფხვაძე და ლაშა თორდია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ნანა მიშელაშვილი

სახალხო დამცველის ანგარიშის გამო გუშინ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ლევან ვეფხვაძე და ლაშა თორდია. ეს ბიუროს სხდომაზე მოხდა.

თავდაპირველად ლევან ვეფხაძემ იკითხა, როდის მოხდება პარლამენტის სხდომაზე გიორგი ტუღუშის ანგარიშის განხილვა. ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის განცხადებით, 1 თვის წინ, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად შეთანხმდნენ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა პარლამენტში მოხდებოდა, ერთთვიანი ვადა უკვე გავიდა, თუმცა, ჯერ უცნობია, როდის მოხდება პარლამენტში მისი განხილვა.

ლევან ვეფხვაძის განცხადებით, თუ კომიტეტის სხდომა არ ჩატარდება, ანგარიშის განხილვა პლენარულ სხდომაზე ვერ მოხდება. ვეფხვაძემ მმართველი ფრაქციის წევრებს ისიც გაახსენა, რომ წინა სახალხო დამცველის დროს, უმრავლესობის წევრები ამბობდნენ, რომ მისი ანგარიში ანგაჟირებული იყო.

— ახლა თქვენ მიერ მხარდაჭერილი სახალხო დამცველია და დროულად განიხილეთ მიუკერძოებელი და პრინციპული ანგარიში, — უთხრა ლევან ვეფხვაძემ უმრავლესობას.

სახალხო დამცველის ანგარიშის დროულად განხილვა მოითხოვა კიდევ ერთმა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ. მან ომბუდსმენის ანგარიშის განხილვა დებატების რეჟიმში მოითხოვა.

ლევან ვეფხვაძეს ლაშა თორდიამ გასცა პასუხი. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ვეფხვაძე ამ საკითხის პოლიტიზირებას ცდილობს.

— განხილვის მოთხოვნა პოლიტიზირებაა? — კითხვა დააწია თორდიას ვეფხვაძემ.

— ქულების ჩაწერას ცდილობთ, კომიტეტის სხდომა 10 მაისს ჩატარდება, — უთხრა თორდიამ ლევან ვეფხვაძეს.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ისიც განმარტა, რომ სახალხო დამცველის ანგარიში დეტალურ განხილვას მოითხოვს. თორდიას

**პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვას 10 მაისიდან დაიწყებს. თავდაპირველად ომბუდსმენის ანგარიშზე მსჯელობას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი დაიწყებს, შემდეგ კი მისი განხილვა პლენარულ სხდომაზე მოხდება.**



განცხადებით, სკურპულოზურად შეისწავლეს ფაქტები, რათა გაირკვეს, რა პრობლემები იყო და რა გამოსწორდა.

— ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო, სხვის ბოსტანში ნუ ისვრი კენჭებს, პოლიტიკური ქულების დაწერაში თქვენ ვერავინ შეგედრებათ, — უთხრა ლევან ვეფხვაძემ ლაშა თორდიას.

ამის შემდეგ ბიუროს წამყვანმა გიგი წერეთელმა მოკამათე მხარეები დააშოშმინა, რადგან განმარტა, რომ 10 მაისიდან სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა კომიტეტში დაიწყება.

რაც შეეხება ომბუდსმენის ანგარიშს, სახალხო დამცველის ანგარიში 523 გვერდიანია და მასში ყველა ის ფაქტია შესული, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში არსებულ ვითარებას შეეხება.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პენიტენციალურ სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე, ციხეების გადატვირთულობის საკითხზე და სამედიცინო კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

გიორგი ტუღუშის მოხსენებაში ასევე მოხვდა ბავშვთა სახლები და იქ არსებული ვითარება. სახალხო დამცველის განცხადებით, ზრუნვის სააგენტოს დირექტორი სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მუშაობაში ხელს უშლიდა და ეს პრობლემა მას შემდეგ მოგვარდა, რაც ჯანდაცვის მინისტრს სანდრო ურუშაძეს პირადად ესაუბრა.

სახალხო დამცველი ურჩ სამინისტროებსაც ასახელებს, რომელთა შორის დევნილთა სამინისტრო ლიდერობს.

გიორგი ტუღუშს სხვადასხვა უწყების მიმართ 308 რეკომენდაცია აქვს. რამდენად შესრულდება სახალხო დამცველის რეკომენდაციები და რომელი უწყება მოახდენს მის უგულებელყოფას, ამის თქმა წინასწარ ძნელია.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ. აქამდე, პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს ცნობად იღებდა. ოპოზიცია მოითხოვს, რომ პარლამენტმა სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ დადგენილება მიიღოს, რომელშიც ყველა იმ პირის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ვინც ომბუდსმენის ანგარიშში მოხვდა.

# კაგანია ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვს

**ლეიბორისტული პარტია საქართველოს ხელისუფლებისგან ებრაელი ბიზნესმენების — ფრენკელისა და ფუქსის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და ებრაელი ხალხისთვის საჯარო ბოდიშის მოხდას მოითხოვს.**

შორენა კოწოწაშვილი

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ლეიბორისტული პარტია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ებრაელი ბიზნესმენების საქართველოში დაპატიმრების ფაქტი გააპროტესტა და მომხდარში პირადად პრეზიდენტი და პრემიერი ნიკა გილაური დაადანაშაულა. შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ებრაელი ბიზნესმენები სისხლის სამართლის დამნაშავეებად ცნო და მათ რამდენიმე წლით პატიმრობა მიუსაჯა. რონი ფუქსს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ფრენკელს კი — 6 წლით და 6 თვით. გარდა ამისა, მოსამართლემ ფუქსს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, ფრენკელს კი — 100 ათასი ლარის გადახდა.



ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრების ფაქტთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანი კახა ზაგანია ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში იცხაკ გერბერს შეხვდა და ბიზნესმენების — ფრენკელისა და ფუქსის დაპატიმრებასთან დაკავშირებით პარტიის წერილობითი პოზიცია გადასცა.

— საქართველოს ლეიბორისტული პარტია გმობს სააკაშვილის ტერორისტული რეჟიმის მიერ ებრაელი ბიზნესმენების უკანონო დაპატიმრებას, რომელიც მათი საქართველოში ჩამოტყუებით და ფაქტობრივად, მძევლად აყვანით განახორციელდა. სამწუხაროდ, სააკაშვილის პოლიტიკაში ანტისემიტური ელემენტები სიახლე არ არის. იგი ჯერ კიდევ ბადრი პატარკაციშვილის არაადამიანური დევნით დაიწყო და უაღრესად სამწუხარო ტრაგედიით დასრულდა, — ნათქვამია ლეიბორისტული პარტიის განცხადებაში.შალვა ნათელაშვილი და მისი გუნდი ევროკავშირს და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მიხეილ სააკაშვილისა და მისი ძალოვნებისადმი ისეთივე სანქციების გამოყენების თხოვნით მიმართავს, როგორიც კადაფისა და ლუკაშენკოს მიმართ განხორციელდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრებას არა მხოლოდ ებრაული პრესა გამოეხმაურა. ბიზნესმენების დაპატიმრების არაკანონიერებასა და უსამართლობაზე არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა წერდა, რაც ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლების მიმართ სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს. ცნობილი ფაქტია, რომ ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მოწვევით ჩამოვიდნენ და მათ ინვესტიციების დაბანდების ნაცვლად ფინანსების დაბანდება ბიუჯეტის სასარგებლოდ მოუწევთ.

# ეკა ბესელია: დეპუტატი მამუკა გუგეშაშვილი ცნობილი „მაზავშიკია“

შორენა კოწოწაშვილი

სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელ ეკა ბესელია გიორგი დემეტრაძის განაჩენ-



თან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას აფიქსირებს და დემეტრაძის გათავისუფლებას ითხოვს.

როგორც ეკა ბესელიას მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი დემეტრაძის მიმართ მორიგი ეკანონო და უსამართლო განაჩენი გამოიტანა.

— ისევე, როგორც ძალიან ბევრი ადამიანი, მეც ვარ დარწმუნებული, რომ გიორგი დემეტრაძე უდანაშაულოა და მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს ვერდიქტი შორს არის სამართლიანობისა და კანონიერებისგან. სასამართლოს არგუმენტი, რომ „სასამართლომ განსასჯელები დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით განსაზღვრა დანიშნული სასჯელის ზომა“ — ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და კიდევ ერთხელ ახსენებს საზოგადოებას, რომ საქართველოში შერჩევითი მართლმსაჯულება მყარად არის ფეხმოკიდებული, — აცხადებს ეკა ბესელია.

ზემოთ აღნიშნულის დასტურის ნიშნად უფლებადამცველი რამდენიმე მაგალითს ასახელებს. მისი თქმით, გიორგი დემეტრაძის ბრალდების ძირითადი მასალა იყო გამოქვეყნებული, აგებული არაფრისმთქმელი სატელეფონო საუბრების შინაარსზე, რაც სასამართლომ მიიჩნია სარწმუნოდ დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით.

— თუ ქართული სასამართლოს მსჯავრის დადების სტანდარტი ასეთია, რატომ არ არის გასამართლებული დღემდე ნაციონალი დეპუტატი გივი თარგამაძე იმ ცნობილი სატელეფონო საუბრების გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც გაცილებით მძიმე დანაშაულებრივ ფაქტებს ეხებოდა, — კითხულობს ეკა ბესელია.

„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ წარმომადგენელი დემეტრაძის საქმესთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში კიდევ ერთ კონკრეტულ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით ავლებს პარალელს, რომელიც საკრებულოს ნაციონალ დეპუტატ მამუკა გუგეშაშვილს ეხება.

— დეპუტატი მამუკა გუგეშაშვილი ცნობილი „მაზავშიკია“, რატომ მასზე არ ვრცელდება ქართული მართლმსაჯულების სტანდარტი? არ არის ეს შერჩევითი მართლმსაჯულების მაგალითები? — კითხულობს ბესელია და მიაჩნია, რომ მეტად აქტიური და მომთხოვნი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება, სპორტული სამყარო და უფლებადამცველები მსგავსი ფაქტებისა და უსამართლო განაჩენების მიმართ.

# პრეზიდენტმა გარემოს დამცველები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ღირსების ორდენებით გარემოს დაცვის სფეროში შეტანილი



წვლილისა და მრავალწლიანი სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის გარემოს დაცვის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსი რამაზ ჭითანავა, გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპატამენტის ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის ცვლილებების სამმართველოს უფროსი გრიგოლ ლაზრიევი დაჯილდოვდნენ, — აცნობეს „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროდან.

გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს ნინო თხილავას და გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საშიშროებების მართვის დეპარტამენტის უფროსს ემილ წერეთელს კი საქართველოს პრეზიდენტის ღირსების მედლები გადაეცათ.

მინისტრმა გოგა ხაჩიძემ ღვაწლმოსილ გარემოსდამცველებს საქართველოს პრეზიდენტის ღირსების ორდენები და მედლები თავად გადასცა.

**მედიანიუსი**

# მანდატურის სამსახური ერთი წლისაა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მანდატურის სამსახურის მუშაობის ერთი წელი შეაჯამა. მინისტრის თქმით, მანდატურის ინსტიტუტის ამოქმედების შემდეგ სკოლებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა - 95%-ით შემცირდა ძალადობა, 80%-ით - მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები, 75%-ით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის შემთხვევები (ე.წ შატალო). 95%-ითაა შემცირებული ფულის გამოძალვის, 80%-ით მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები. 90%-ით აღმოიფხვრა ვანდალიზმის (სასკოლო ქონების დაზიანების) ფაქტები.

მანდატურის ინსტიტუტი უკვე ერთი წელია რაც საჯარო სკოლებში ამოქმედდა. მანდატურები პირველად 2010 წლის 12 აპრილს, თბილისის 10 საპილოტე სკოლაში შევიდნენ. 2010-1011 სასწავლო წლის დაწყებისთანავე, თბილისის კიდევ რადენიმე ათეულ საჯარო სკოლაში გამოჩნდა მანდატურთა სამკაციანი ჯგუფი. პარალელურად მანდატურები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც გადანაწილდნენ. პროცესი გაგრძელდა, უკვე თბილისისა და რამდენიმე დიდი ქალაქის ყველა სკოლაში მსახურობენ მანდატურები.

დღეისათვის 1000 სკოლის მანდატური თბილისის, ბათუმის, ქუთაისის,ზუგდიდის, ფოთის, გორის, რუსთავისა და ყვარელის 300 საჯარო სკოლის უსაფრთხოებას იცავს.

— მანდატურის ინსტიტუტი კერძო სკოლებშიც მუშაობს. თბილისის ათი კერძო სკოლის გადაწყვეტილებით, მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვას მანდატურები განაგრძობენ. მანდატურების შეყვანის სურვილი მაისიდან კიდევ რამდენიმე ათეულმა კერძო სკოლის ხელმძღვანელმა გამოთქვა, — აცნობეს „მედიანიუსს“ განათლების სამინისტროდან.

**მედიანიუსი**

## სოციალური მომსახურების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ გუშინ სოციალური მომსახურების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელის თანამდებობაზე ირაკლი ნადარეიშვილი წარადგინა.

მინისტრმა სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

— ირაკლი ნადარეიშვილი არის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი და განათლება მიღებული აქვს ოქსფორდის უნივერსიტეტში. მას გამოცდილება აქვს, როგორც სოციალური, ისე სადაზღვევო პროგრამების მართვაში. ვფიქრობ, ირაკლის ამ თანამდებობაზე დანიშვნით, ის რეფორმები და ცვლილებები, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ კიდევ უფრო ეფექტური და წარმატებული იქნება, — აღნიშნა ანდრია ურუშაძემ.

— ჩვენ სოციალური მომსახურების სააგენტოში ბიზნეს პროცესების, მართვის სისტემებისა და თანამედროვე Iთ ტექნოლოგიების განვითარებას ძალიან დიდ ყურადღებას დავუთმობთ. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი სააგენტოს საქმიანობის გამჭირვალეობა იქნება. ვფიქრობ, რომ ყველა ის მომსახურება, რომელსაც მოქალაქეებს ვთავაზობთ მაქსიმალურად გასაგები და ხელმისაწვდომი უნდა იყოს, — განაცხადა ირაკლი ნადარეიშვილმა.

ირაკლი ნადარეიშვილი 1976 წლის 29 მაისს თბილისში დაიბადა. 1993-1998 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე, მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი. 2007 წელს ჩაირიცხა ოქსფორდ ბრუქს უნივერსიტეტში საერთაშორისო უძრავი ქონების ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 2008 წელს და მიენიჭა მაგისტრის წოდება. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ დაიცვა დისერტაცია თემაზე: "უძრავ ქონებაში არაპირდაპირი ინვესტირების მექანიზმების მიზანშეწონილობა განვითარებად ეკონომიკაში". იყო საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

მედიანიუსი

## ირინე ქურდაძემ ხიდისთავის პროფესიული კოლეჯი მოინახულა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძემ გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის პროფესიული კოლეჯი მოინახულა. სამინისტროს ინფორმაციით, ხიდისთავის პროფესიული სწავლების ცენტრი 2007 წელს, ორი პროფესიული სასწავლებლის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა. სწავლების ცენტრი ამ ეტაპზე ახორციელებს შემდეგ სასწავლო პროგრამებს: სამშენებლო პროფესიები: შემდუღებელი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, მეფილე-მომპირკეთებელი. მსურველები ელექტრიკოსის და მღებავის სპეციალობებსაც ეუფლებიან.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით კოლეჯი შემდეგ სპეციალობებზე ახორციელებს მიღებას: ვეტერინალური მომსახურების სპეციალისტი, მელიატორი, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებლის სპეციალისტი.

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დაფინანსებით მიმდინარეობს მეხილის სპეციალობის სტუდენტთა მომზადება. ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტთა მიღება სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროგრამაზეც იგეგმება. ხიდისთავის პროფესიული კოლეჯში სწავლების ხანგრძლივობა 3 თვიდან 12 თვემდე მერყეობს. ცენტრში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით, პერიოდულად ტარდება ტრენინგები სტუდენტთა დასაქმების დასახმარებლად.

ხიდისთავის პროფესიული სწავლების ცენტრში სახელობო პროგრამებზე 130 სტუდენტი სწავლობს. ცენტრში ამჟამად 17 პედაგოგი მუშაობს, რომელთა ნაწილს საერთაშორისო სერთიფიკატი აქვს. მიმდინარე წელს ახალ პროგრამებზე 165 სტუდენტის მიღება იგეგმება.

ინტერპრესნიუსი

## ახალი სამგორის მოსახლეობა მგზავრობის ღირებულების გაძვირებას აპროტესტებს

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის მოსახლეობა მიკროავტობუსებით მგზავრობის ღირებულების გაძვირებას აპროტესტებს.

მოსახლეობის განმარტებით, „ახალი სამგორი — რუსთავის" მიმართულებით მოძრავი სამარშუტო ტაქსის მგზავრობის საფასურმა 20 თეთრით მოიმატა და ახლა მძღოლების გადაწყვეტილებით 70 თეთრს შეადგენს.

როგორც მძღოლები განმარტავენ, მგზავრობის საფასურის გაზრდა საწვავის გაძვირებას უკავშირდება და საფასურს მოსახლეობის მოთხოვნის შემთხვევაშიც კი არ დაუკლებენ.

მედიანიუსი

## ახმეტის რაიონის სოფელის ხორბალო რაიონულ ცენტრს მოწყდა

ახმეტის რაიონის სოფელი ხორბალო რაიონულ ცენტრს მოწყდა. გზა, რომლითაც სოფელი ქალაქს უკავშირდებოდა, მოვარდნილმა წყალმა წაიღო.

ახმეტის კიდევ ერთ სოფელში — ალვანში დატბორილია საცხოვრებელი სახლების სარდაფები და 4 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, — აცნობეს „მედიანიუსს" რადიო „ჰერეთიდან". ახმეტის რაიონში ამჟამად ყველა მდინარე და ხევი ადიდებულია.

მედიანიუსი

# პროფკავშირები შრომის კოდექსის სასწრაფო შეცვლას მოითხოვენ

**პროფკავშირები მშრომელთა უფლებების დასაცავად მუშაობას აქტიურებენ. გაერთიანება წარმოებებში სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გამო ქვეყნის შრომის კოდექსის შეცვლას მოითხოვს. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან დაკავშირებით გაერთიანებულმა პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს მონაცემები იმ ადამიანების რაოდენობის შესახებ, რომლებიც 2010 წელს უშუალოდ სამუშაო ადგილებზე დაიღუპნენ.**



გერა მამულაშვილი

პროფკავშირებში შესული მონაცემების თანახმად, 2010 წელს საქართველოში 81 ადამიანი დაიღუპა. სახელმწიფო, შრომის დაცვის სფეროში ჯერჯერობით რაიმის შეცვლას არ აპირებს, — თვლის საქართველოს პროფკავშირების ლიდერი ირაკლი პეტრიაშვილი.

გაერთიანებამ მშრომელთა საერთაშორისო დღე თბილისის ზღვაზე აღნიშნა. ეს ადგილი იმასთან დაკავშირებით იყო შერჩეული, რომ 1901 წელს ქართველმა მშრომელებმა პირველი საპროტესტო აქცია სწორედ აქ გამართეს. აქციაზე ისინი მოითხოვდნენ სამუშაო დღის 8 საათამდე შემცირებას და ხელფასის მომატებას.

„საქართველოში არავინ აკონტროლებს ტექნიკის უსაფრთხოებას, დაღუპულებთან დაკავშირებით სტატისტიკას არავინ აწარმოებს".

ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში არ არსებობს ორგანო, რომელიც შრომის უსაფრთხოების კონტროლით დაკავდებოდა.

— 2006 წელს მთავრობის ბრძანებით ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული შრომის და სოციალური დაცვის ტექნიკური ინსპექცია გაუქმებული იქნა. ასე რომ, ახლა უსაფრთხოების ტექნიკას არავინ აკონტროლებს და არავინ არ აწარმოებს დაღუპულების სტატისტიკას. ის ციფრებიც კი, რომელთა დასახელებაც შეგვიძლია, რეალობისგან შორს დგანან: ჩვენთან ინფორმაციები შემოდის მხოლოდ იმ წარმოებებიდან, სადაც ჩვენი აქტივისტები მუშაობენ, მაგრამ წარმოებების უმეტესობაში პროფკავშირები წარმოდგენილნი არ არიან, ასე რომ, ჩვენ მხოლოდ ვმარჩიელობთ დაღუპულ მუშათა რაოდენობაზე, — აცხადებს ირაკლი პეტრიაშვილი.

მისი აზრით, თუკი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საკანონმდებლო მოთხოვნებს არ შემოვიტანთ, სიტუაცია მხოლოდ გაუარესდება. ამის დასტურად პეტრიაშვილს კონკრეტული ციფრები მოჰყავს: 2009 წელს საწარმოებში დაიღუპა 37 ადამიანი, ხოლო 2010-ში 81, ანუ სიკვდილიანობის რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

— იმის ფონზე, რომ საქართველოში ძალიან ცოტა საწარმოები მუშაობენ, ეს ციფრები ძალიან საგანგაშოა, — ამბობს პეტრიაშვილი.

დაღუპულების უმეტესობა — 24 კაცი, სამშენებლო საწარმოების მუშებია, მათ მოჰყვებიან მეშახტეები — 13 ადამიანი, ენერგეტიკული კომპანიების თანამშრომლები, რკინიგზელები და ა.შ.

როგორც პროფკავშირებთან არსებული შრომის უსაფრთხოების ინსპექციის მთავარი სპეციალისტი ვიქტორ დოლიძე აცხადებს, საქართველო ერთი ტონა ქვანახშირის მოპოვებისას დაღუპულ მეშახტეთა რაოდენობით ლიდერებში აღმოჩნდა.

— აქამდე დაღუპულების ყველაზე მეტი რაოდენობა ჩინეთზე მოდიოდა, სადაც ერთი მილიონი ტონის მოპოვებისას 7 ადამიანი იღუპება. ხოლო საქართველოში, სადაც მილიონი ტონაც კი არ მოიპოვება, წლის განმავლობაში 13 ადამიანი დაიღუპა, — აღნიშნავს ვიქტორ დოლიძე.

მისი თქმით, ძალიან ხშირად ადამიანები ისეთი მოქმედებების შედეგად იღუპებიან, რომლებიც მათ სამსახურებრივ მოვალეობებში არ შედის.

— მაგალითად, დაწესებულებების მცველებს სახურავზე ასვლას სთხოვენ, რათა გადახურვა მოაწესრიგონ. ერთი მხრივ, ეს არცთუ რთული მოქმედებაა, რომლის შესრულებაც საშუალო ფიზიკური ფორმის ზრდასრულ ადამიანს შეუძლია, მაგრამ მეორე მხრივ, სიმაღლეზე საჭიროა უსაფრთხოების ზომების დაცვა, — აღნიშნავს დოლიძე.

ის ასევე ამბობს, რომ ზოგჯერ ადამიანები ელექტროსადენის შეკეთების მცდელობისას იღუპებიან.

— იღუპებიან პროფესიონალებიც. მაგალითად, გასულ წელს რკინიგზაზე ორი გამოცდილი ელექტრიკოსი სწორედ ელექტრომომარაგებაში პრობლემების აღმოფხვრის მცდელობისას დაიღუპა, — ამბობს ვიქტორ დოლიძე.

მისივე თქმით, პროფესიონალების სიკვდილის მიზეზი უსაფრთხოების ზომების დაუცველობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის ივნისში ტყიბულის ქვანახშირის საბადოებში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, პროფკავშირებმა კომპანია „საქქვანახშირთან" მემორანდუმის გაფორმებას მიაღწიეს. ამ მემორანდუმის თანახმად, კომპანია საბადოებში უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებისთვის 10 მილიონი დოლარის დახარჯვას დათანხმდა.

ასეთივე ხელშეკრულება გაფორმებული იქნა საწარმო „ქართულ მარგანეცთან"; ასე რომ, თუ სამთომომპოვებელი წარმოების დაწესებულებეში შესაძლებელია ზემოქმედება და უსაფრთხოების ტექნიკის ამაღლების მოთხოვნა, მაშინ სხვა სფეროებში სიტუაცია ისევ მძიმეა, განსაკუთრებით სამშენებლო ბიზნესში.

„მხოლოდ მსხვილი საწარმოები მშენებლებთან ხელშეკრულებას აფორმებენ და შრომის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ".

— მხოლოდ მსხვილი საწარმოები მშენებლებთან ხელშეკრულებას აფორმებენ და შრომის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ. მაგალითად, კომპანია სასკო — იქ ყოველთვის იყო და რჩება კოლექტიური ხელშეკრულებები. არც ყოფილა ამ საწარმოში ასეთი შემთხვევები, რადგან ადამიანები უსაფრთხოების სხვადასხვა საშუალებებით იყვნენ აღჭურვილნი. მაგრამ არის კიდევ რიგი ორგანიზაციებისა ბათუმში, სადაც ასევე არსებობენ პროფკავშირები და იქ მხოლოდ ორი-სამი უბედური შემთხვევა. ხოლო დანარჩენ საწარმოებში ძირითად პრობლემად რჩება რაიმე სახის კონტროლის არარსებობა, — ამბობს ირაკლი პეტრიაშვილი.

ის აღნიშნავს, რომ საქართველოში ბევრი ასეთი მცირე საწარმოა და მშენებლების დიდი ნაწილი სწორედ იქ არის დასაქმებული.

— ეს მცირე კომპანიებია და მშენებლების დიდი ნაწილი სწორედ მათზე არის ამოქმედებული.

— მცირე კომპანიები თანამშრომლებთან ხელშეკრულებებს მცირე ვადით აფორმებენ, სამი ან ოთხი თვის ვადით, ამის შემდეგ ახალ მუშებს იღებენ. ისინი ეწინააღმდეგებიან იმას, რომ პროფკავშირებმა მათ სამშენებლო მოედნებზე შეაღწიონ, არ სურთ, რომ მათი მუშები შევიდნენ პროფკავშირებში, მათ ობიექტებზე ადამიანები სადაზღვევო ქამრების გარეშე მუშაობენ, სხვა უსაფრთხოების დაცვის საშუალებების გარეშე. ამიტომ ასეთ კომპანიებში ტრავმატიზმი და სიკვდილიანობა ძალიან მაღალია, — ამბობს პეტრიაშვილი.

ის აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შრომის დაცვის სფეროში ჯერჯერობით არაფრის შეცვლას არ აპირებს. პროფკავშირებმა არაერთხელ შეიტანეს კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ შრომით კონტრაქტებსაც და ისეთი ორგანიზაციის დაფუძნებას, რომელიც უსაფრთხოების ტექნიკას კონტროლს გაუწევს; მაგრამ უმრავლესობის პარტიის წევრები იმაზე მიუთითებენ, რომ უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების პირობებში არ შეიძლება ინვესტორების რომელიმე სფეროში მკაცრი რეგლამენტებით შეშინება.

— ჩვენ უცვლელად გვპასუხობენ, რომ ბაზარი ყველა ამ საკითხს თავად დაარეგულირებს, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით საწარმოებში მხოლოდ დაღუპული ადამიანების რიცხვს ვადევნებთ თვალყურს, — აცხადებს ირაკლი პეტრიაშვილი.

## თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა სხვადასხვა რეგიონებში იგეგმება

ქობულეთისა და ანაკლიის გარდა თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა საქართველოს სხვა რეგიონებშიც იგეგმება.

ამის შესახებ „ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, რომელიც პარლამენტის ბიუროს დღეს წარედგინა.

კანონპროექტით თავად კანონსაც სახელწოდება შეეცვლება და "თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ" კანონი დაერქმევა.

— საქართველოში ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების მიზნით, თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა, ქობულეთისა და ანაკლიის გარდა, ასევე იგეგმება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, თუმცა კონკრეტული რეგიონების ასახვა საკანონმდებლო აქტში მიზანშეუწონელია და განაპირობებს არსებულ კანონში ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს. ამდენად, უმჯობესია ტერიტორიების განსაზღვრა განხორციელდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, — ნათქვამია პროექტში, თუმცა, კიდევ სად იგეგმება თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა, დაკონკრეტებული არ არის.

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.

ინტერპრესნიუსი

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ვინ იყო ოსამა ბენ ლადენი

## „არსენალს“ დიდი გულშემატკივარი მოუკვდა

თეა მარხვაი ე

**ამერიკაში მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის სიკვდილს ზეიმობენ. ოსამაბენ ლადენის სიკვდილი ამერიკამ გუშინ ოფიციალურად დაადასტურა. ვაშინგტონი მის მოკვლას უკვე დიდი ხანია ცდილობს. არადა, ერთ დროს ბენ ლადენი და ამერიკის სპეცსამსახურები ფრონტის ერთ მხარეს იდგნენ. მის ტერორისტად ჩამოყალიბებაში ამერიკულმა მხარემ სერიოზული წვლილი შეიტანა. მაშინ მათ ერთმანეთი სჭირდებოდათ.**



კაცი, რომელიც მთელი მსოფლიოს საფრთხედ იქცა, 1957 წლის 28 ივნისს (მეორე ვერსიით 10 მარტს) დაიბადა. მისი სრული სახელი ოსამა ბენ მუჰამედ ბენ აუად ბენ ლადენი გახლდათ.

მამამისი ცნობილი მილიარდერი მუჰამედ ბენ ლადენი იყო. მას 20 ცოლი და 52 შვილი ჰყავდა. საინტერესოა, რომ მას ცოლებმა მხოლოდ ბიჭები გაუჩინეს. ოსამა მუჰამედის მე-17 შვილი იყო. დედამისი ჰამიდა ალ-ატასი მუჰამედის მეათე ცოლი იყო. ოსამა მისი ერთადერთი შვილი გახლდათ.

ბენ ლადენი როცა დაიბადა, მათი ოჯახი საუდის არაბეთში ერთ-ერთი უმდიდრესი იყო. ბენ ლადენები იემენელი გლეხების შთამომავლები არიან. ისინი იემენიდან საუდის არაბეთში გადასახლდნენ. სადაც ნავთობის ბუმის დროს ძალიან დიდი ფული იშოვეს. მათ ქონება სამშენებლო ბიზნესით დააგროვეს. დღეისათვის ბენ ლადენების ქონება რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენს. იემენელი მაგნატი 1967 წელს ავიაკატასტროფის შედეგად, 58 წლის ასაკში დაიღუპა.

ოსამას დედა ღრმადმორწმუნე მუსლიმანი იყო. სწორედ მისი გავლენით შევიდა ის ერთ-ერთ ისლამისტურ დაჯგუფებაში. მაშინ მომავალი ტერორისტი მხოლოდ 16 წლის იყო. გარკვეული დროს განმავლობაში ის შარიათის პოლიციაშიც კი მსახურობდა.

1979 წელს მან აბდ ალ-აზიზის სახელობის უნივერსიტეტში ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი დაამთავრა. სამშენებლო ბიზნესში კარიერის დაწყებამ ოსამას ხელი არ შეუშალა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ავღანური ჯიჰადის განმათავისუფლებელ მოძრაობას შეერთებოდა, სადაც ის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა გახდა.

მის დიპლომს ჯერ მელანი ხეირიანად არ ჰქონდა შემშრალი, რომ ბენ ლადენს ავღანეთში მოუწია წასვლა. იქ საბჭოთა არმია შეიჭრა. ახალგაზრდა ბენ ლადენი ავღანეთს პირველად 1979 წელს ესტუმრა.

— როცა ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის ამბავი გავიგე, გააფთრებული ვიყავი. მაშინვე გადავწყვიტე იქ წასვლა. მე ავღანეთში 1979 წლის ბოლოს ჩავედი, — იხსენებდა ბენ ლადენი.

ერთი წლის შემდეგ მან ავღანელ მებრძოლებთან კონტაქტი დაამყარა. მილიონერი ბენ ლადენი მათ ფინანსურადაც ეხმარებოდა.

ლადენს მამამისისგან 400 მილიონიანი ქონება ერგო. მას ფული არ ენანებოდა მუჯახედებისთვის. მან თანამოაზრეებთან ერთად სპეციალური სააგენტოც კი ჩამოაყალიბა, რომელიც ჯიჰადისთვის მოხალისეებს აგროვებდა. საბჭოთა არმიის წინააღმდეგ წმინდა ომში მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდები არაბული ქვეყნებიდან ჩადიოდნენ.

წმინდა ომში ჩართვამდე ახალგაზრდები სპეციალურ ბანაკებში გადიოდნენ წვრთნას. ამ საწვრთნელ ბანაკებს ბენი აფინანსებდა. არაბული ქვეყნებიდან ჩასული ახალგაზრდები იქ ტერორისტულ საქმიანობას სწავლობდნენ.

ოსამა ბენ ლადენი ავღანეთის ომში მხოლოდ დამფინანსებლის რანგში არ ყოფილა. ის საბჭოთა არმიის წინააღმდეგ აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. მას გავლილი ჰქონდა სპეციალური მომზადება. მოსკოვთან საომრად ის ამერიკელებმა გაწვრთნეს.

ავღანეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ის აქტიურად ასრულებდა მათ დავალებებს. ცნობილი ხდება ისიც, რომ ისინი საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ერთობლივად აწარმოებდნენ ინფორმაციულ ომსაც.

საბჭოთა ჯარისკაცები იქ საშინელებებს სჩადიოდნენ. თუმცა ბევრ რამეს აბრალებდნენ კიდევაც. მათ შორის მეჩეთების აფეთქებას, ქალების და ბავშვების დახვრეტას.

რამდენიმეწლიანი ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა ავღანეთიდან ჯარები გაიყვანა. ოსამა ისევ ბიზნესში დაბრუნდა. ამის მიუხედავად, ის სხვადასხვა ორგანიზაციების დაფინანსებას მაინც აგრძელებდა.

ბენ ლადენის ოჯახი საუდის არაბეთის მეფესთან დაახლოებული იყო. თუმცა 1991 წელს ის ქვეყნიდან გააძევეს. ყველაფერში დამნაშავე კი ერაყი იყო, რომელმაც ქუვეითის დაპყრობა გადაწყვიტა.

ნავთობით მდიდარ სპარსეთის ყურეში მიმდინარე საომარ მოქმედებებში ამერიკა აქტიურად ჩაერთო. აშშ-ს სპეცსამსახურებთან დაახლოებული ბენ ლადენი ამერიკის წინააღმდეგ გამოვიდა.

მოგვიანებით ის თავის ხელისუფლებასაც დაუპირისპირდა. ის საუდის არაბეთის ხელისუფლებას აშშ-თვის ხელის შეწყობაშიც ადანაშაულებდა. ანტისახელისუფლებო მოქმედებებმა, საუდის არაბეთის ხელისუფლება აიძულა 1991 წელს ბენ ლადენი ქვეყნიდან გაეძევებინა, ხოლო 1994 წელს მისთვის მოქალაქეობა ჩამოერთვა. ოსამა ბინ ლადენი სუდანში გადავიდა.

სწორედ აქ დააფუძნა მან მსოფლიოში ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდა“. როგორც ამბობენ, მან ეს ორგანიზაცია ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით შექმნა.

მართალია ის ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ არც ბიზნესისთვის დაუნებებია თავი. მამის მსგავსად, ისიც სამშენებლო საქმიანობით დაკავდა. გზებს და ფარმაკოლოგიურ საწარმოებს აგებდა.

იმ პერიოდში ვრცელდებოდა ცნობები, რომ ოსამა მარტო ლეგალურ ბიზნესს არ სჯერდებოდა. ის სუდანში ნარკობიზნესით და ადამიანებით ვაჭრობითაც ყოფილა დაკავებული.

შეიძინა თანამედროვე აპარატურა. სხვადასხვა ქვეყნებიდან სუდანში ჩაიყვანა ქიმიკოსები. მათი წყალობით შეიქმნა ნარკოლაბორატორიები და საწყობები. ისინი ავღანეთის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ჰოსტში იყო განთავსებული.

ასევე ის სტუმრობდა ბოსნიას და ალბანეთს, სადაც მხარს ისლამისტებს უჭერდა.ოსამა ბინ ლადენს 1998 წელს, კენიაში და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოებში მომხდარი ტერაქტების ორგანიზატორად მიიჩნევდნენ. ნაირობიში (კენია) მომხდარ ტერაქტს 213 ადამიანი ემსხვერპლა და 5 ათასი დაიჭრა.

ამ ტერაქტების შემდეგ ოსამა ბენ ლადენი ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ნომერ პირველ ტერორისტად გამოაცხადეს. მისი ლიკვიდაციისთვის 5 მლნ დოლარის ოდენობით ჯილდო იყო დაწესებული.

გასული საუკუნის ბოლოს 90-იანი წლების ბოლოს ბენ ლადენი ავღანეთში, თალიბანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა. თალიბები ამერიკელებს ბინ ლადენის გადაცემაზე უარს ეუბნებოდნენ, მაგრამ მისი შარიათის კანონებით გასამართლების პირობას დებდნენ.აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა კენიასა და ტანზანიაში მომხდარი ტერაქტებიდან რამდენიმე კვირაში, ავღანეთში ალ-ქაიდას სავარაუდო ბანაკებზე და სუდანში ფარმაცევტულ ქარხნებზე, სადაც ალ-ქაიდა შესაძლო ქიმიურ იარაღს აწარმოებდა, შეტევა მიიტანეს.

ოსამა ბინ ლადენი ნომერ პირველ ტერორისტად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გახდა. მაშინ ტერორისტებმა შეტევა სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონის შენობაზე მიიტანეს. ტერაქტის შედეგად დაახლოებით 3000 ადამიანი დაიღუპა. ტერაქტების ორგანიზატორად კი ბენ ლადენი დასახელდა. მისი ლიკვიდაციისთვის ჯილდო გაიზარდა და 50 მლნ დოლარი დაწესდა.

მედიაში ხშირად ჩნდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკას ბენ ლადენის ცოცხალად აყვანა არ სურდა. როგორც ამბობენ, ამერიკელი ჩინოვნიკები ამის შესახებ არაოფიციალურად ძალიან ხშირად საუბრობდნენ. მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ის სასამართლოს წინაშე წარდგებოდა, მისთვის წაყენებული ბრალდებების უმეტესობის დამტკიცება ძალიან ძნელი იქნებოდა.

ამასთან ცოცხალ ბენ ლადენს შეიძლებოდა ბევრი ისეთი რამე ეთქვა, რომლის გაჟღერებაც ვაშინგტონს არ აწყობდა. სხვა თუ არაფერი, მათ ერთად ბევრი ცუდი საქმე აქვთ ნაკეთები და როგორც ამბობენ, „ალ ქაიდაც“ ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით შექმნა.

ბენ ლადენზე ალბათ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ისაუბრებენ. მასთან დაკავშირებით კიდევ ბევრი ინფორმაცია გავრცელდება.

საინტერესოა, ვინ დაიკავებს მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ადგილს. ეს ალბათ უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ტერორიზმი კი კიდევ დიდხანს იქნება მსოფლიოს სენი. ტერორისტების წყალობით კიდევ ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპება. ტერორიზმს არანაირი გამართლება არა აქვს. თუმცა ხანდახან ისიც გასათვალისწინებელია, რა აიძულებთ ხოლმე ადამიანებს ასეთი საქციელის ჩადენას.

ბენ ლადენის ტერორისტად ჩამოყალიბებაში ამერიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამერიკელებმა ის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაწვრთნეს. მოსკოვის წინააღმდეგ მისი ფინანსებიც გამოიყენეს და საბრძოლო მოქმედებებშიც მიაღებინეს მონაწილეობა.

მერე კი მოხდა ის, რაც ხშირად ხდება. ბენ ლადენი თავისივე გამწვრთნელებს შეუტრიალდა. ახლა ის მკვდარია. თუმცა ტერორიზმი ისევ ცოცხალია.

და კიდევ ერთი, ადამიანი, რომელიც მთელ მსოფლიოს შიშის ზარს სცემდა, მის უდიდებულესობას — ფეხბურთს ეთაყვანებოდა. მას განსაკუთრებით პრემიერ-ლიგა ხიბლავდა. ის ლონდონის „არსენალის“ ფანი იყო. სხვათა შორის, მეთოფეებს ინგლისის დედოფალიც გულშემატკივრობს.

# ბენ ლადენის მოკვლა საქართველოსთვის სახიფათო არ არის

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ოსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ განცხადება გააკეთეს. ტრადიციულ ბრიფინგზე ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ საქართველო უერთდება კოალიციის დიდ წარმატებას ნომერ პირველი ტერორისტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.**




— საქართველო კოალიციის დაარსების პირველი დღიდან მონაწილეობს კოალიციაში, რადგან ტერორიზმი მსოფლიოს ერთ-ერთი გლობალური გამოწვევაა, რომელშიც მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მონაწილეობა თანაბრად არის მნიშვნელოვანი. სწორედ ეს არის საფუძველი, რატომაც ვმონაწილეობთ ანტიტერორისტულ ღონისძიებებში. შესაბამისად იმედს ვიტოვებთ, რომ ეს წარმატება იქნება დასაწყისი იმ წარმატებისა, რომელიც ანტიტერორისტულ მოძრაობას შედეგად ექნება, — აღნიშნა კალანდაძემ.

რაც შეეხება საფრთხეს, რომელიც შეიძლება ნომერ პირველი ტერორისტის ლიკვიდაციამ გამოიწვიოს, კალანდაძე აცხადებს, რომ საქართველოს ამ თვალსაზრისით არავითარი საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, თუ მსოფლიოს მოწოდება იქნება კონკრეტულ ზომებთან დაკავშირებით, საქართველო ამ მოწოდებას დაემორჩილება.

ცნობილი გახდა, რომ მეგობარი სახელმწიფოს პრეზიდენტის ვიზიტია დაგეგმილი საქართველოში.

3-4 მაისს საქართველოს ლიტვის პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. ლიტვის პრეზიდენტი შეხვედრას გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან და მთავრობის სხვა წევრებთან.

თბილისს 6-7 მაისს ასევე ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ბალტიის მეორე სახელმწიფოს, ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტში შედის კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც საქართველოში ალბანეთის, სერბეთის, მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცოგოვინასა და ერაყის მოქალაქეები საქართველოში უვიზოდ შემოვლენ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთ კომენტარს აკეთებს:

— ცვლილებები პროექტში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არის მომზადებული. იდეის ავტორებს სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს, რომ შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს. საქართველოს მსგავსი რეჟიმი აქვს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოსთან, 27 სახელმწიფოსთან აქვს იგივე რეჟიმი. ასევე ამას ემატება 44 დამატებითი სახელმწიფო. ახლა კიდევ გაიზრდება მთლიანობაში 76 სახელმწიფომდე. თუმცა, საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია საზღვრები გახსნილი იყოს. გამჭვირვალე იყოს მიმოსვლა და შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს, რაც შეიძლება გამარტივებული გზით შეეძლოს საქართველოში შემოსვლა ტურისტული, ეკონომიკური თუ სავაჭრო მიზნებით. ამით ვცდილობთ, რომ საქართველო გახსნილი იყოს სხვა სახელმწიფოს რიგითი მოქალაქისთვის, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

რაც შეეხება საფრთხეებს, რომელიც შეიძლება ახლდეს სავიზო რეჟიმის გამარტივების პროცესს, კალანდაძე აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში საფრთხეებზე არ შეიძლება საუბარი იყოს, რადგან ლეგალურ მიმოსვლაზეა საუბარი.

— საზღვრის უკანონო გადაკვეთის პრობლემა ყოველთვის არსებობს, მაგრამ ეს უვიზო მიმოსვლას არ უკავშირდება. ეს არის არლეგალური მიმოსვლა, რომელსაც კონტროლი სჭირდება, რასაც ქართული სახელმწიფო წარმატებით ახორციელებს, — აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

კიდევ ერთი კითხვა, რომელზეც კალანდაძემ კომენტარი გააკეთა, რუსეთში მოღვაწე აზერბაიჯანელი ექსპერტის მოსაზრება იყო.

პოლიტოლოგი ჰეიდარ ჯემალი ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატების დაკვეთით საქართველოში აზერბაიჯანის ხელისუფლების შეცვლის გეგმა მზადდება, რასაც სათავეში გიგია ბოკერია უდგას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ მოსაზრებას აბსურდულ წინადადებას უწოდებს და შესაბამისად განცხადებას არ აკეთებს.

### საქართველოში აშშ-ს საელჩო მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს. როგორც „მედიანიუსს“ აშშ-ს საელჩოდან აცნობეს, საელჩოში უსაფრთხოების ზომები ყოველთვის მიღებულია, თუმცა, უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უსაფრთხოების ზომები გამკაცრებული არ არის.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ განცხადება გვიან ღამით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ გააკეთა. პრეზიდენტის ინფორმაციით, ბენ ლადენი ამერიკელმა სამხედროებმა სპეცოპერაციის შედეგად ერთი კვირის წინ პაკისტანში, ისლამაბადთან ახლოს მოკლეს.

პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსალოდნელი საფრთხეების გამო მსოფლიოს სხავადასხვა ქვეყანაში აშშ-ს საელჩოებში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მიღებული. გარდა ამისა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფ ქვეყნებში ამერიკის საელჩოები გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთოდ დაიხუროს.

— უსაფრთხოების თვალსაზრისით ჩვენი საელჩოები შესაძლოა, გარკვეული დროის მანძილზე დაიხუროს. შესაბამისად, ისინი მოქალაქეების მომსახურებას ვერ შეძლებენ. ასეთ სიტუაციაში, საელჩოები და საკონსულოები მოქალაქეებს დახმარებას მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში გაუწევენ, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

მედიანიუსი

# სააკაშვილი ადვოკატებს დევნის

## ზაზა ხატიაშვილი ევროკავშირში აპირებს ჩივილს

შორენა გონგლაძე

საქართველოში რომ სამართლის მცნება მხოლოდ ფურცელზე და შორეულ მოგონებად დარჩა, ეს უკვე ძველი ამბავია, ახალი ის არის, რომ საერთაშორისო დონეზე დემოკრატიის მამად აღიარებულმა სააკაშვილმა სასამართლო რეფორმის ფარგლებში, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის სახით, კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა ადვოკატებს. ახალმა კოდექსმა საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონება დაიმსახურა, მაგრამ ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ რატომღაც ამ ყველაფერს ქართველი საზოგადოება ტრადიციული დუმილით შეხვდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს იმას, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე პოტენციური პატიმარია, რომ არავინ იცის, ჩვენ მიერ დუმილით მხარდაჭერილი კოდექსის სიმწვავეს ვინ როდის გამოვცდით საკუთარ ტყავზე. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, საქართველოში ადვოკატების ინსტიტუციონალური დევნა ხორციელდება.

**ზაზა ხატიაშვილი:**

— ადვოკატებთან მიმართებაში კანონი უარესობისკენ შეიცვალა. საქართველოში შემოვიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც მწვანე შუქი აუნთო ბრალდების მხარის მიერ ნებისმიერი მტკიცებულების დაკანონებას და ადვოკატის უფლებობა დაიყვანა ყველაზე დაბალ საფეხურზე. ასეთ უუფლებო მდგომარეობაში ადვოკატთა კორპუსი არ ყოფილა და იმ სამარცხვინო საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ვინც დადებითი დასკვნა დადეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე და ასევე საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მე ვიტყვი, რომ ისინი არიან ადვოკატთა კორპუსის მტრები. ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ადვოკატს დაუწერეს, რომ აქვს ბრალდებულის ყველა უფლება, ისიც კი არ იკადრეს, რომ ადვოკატი, როგორც ინსტიტუტი, ცალკე თავად აღრიცხულიყო. ის, რომ ამოაგდეს დაზარალებულის ინსტიტუტი და ამის უკან დგას მერაბიშვილ-ადეიშვილის კონკრეტული მოსაზრებები ვინაიდან თუ ვაზაგაშვილისნაირად კაცს დახვრეტენ, მან არ უნდა იჩივლოს. ელემენტარულად მოისპო იმის უფლება, რომ სასამართლოში გასაჩივრდეს საქმის შეწყვეტა. ადვოკატი არ არის მითითებული როგორც სისხლის სამართლის საქმის გამსაჩივრებელი სუბიექტი სააპელაციო სასამართლოში, აქედან გამომდინარე, ადვოკატთა მიმართებაში მთლიანად მოკლეს სამართალწარმოება. ყველაზე მთავარი უბედურება, რაც ადვოკატებს დამართეს, ის არის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში ჩაწერეს, რომ ადვოკატს უფლება არ აქვს, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ამოღება, ჩხრეკვაზე და ფარულ მიყურადებაზე. თავიდანვე ვთქვი, რომ ამოღება ისე რომ იყოს აქაც განმარტებული, როგორც ეს არის ევროპის ქვეყნებში, მაშინ ამოღება იქნებოდა სხვა რამ და მტკიცებულების მოპოვება — სხვა, მაგრამ საქართველოს სასამართლოები ამას ტყუილად არ ჩადებდნენ, ისინი აუცილებლად გაართულებდნენ მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას. მართლაც, როგორც კი ამ ახალმა პროცესმა დაიწყო მოქმედება, მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა, ეს არის პირველი ინსტანციის მოსამართლე, მას მიმართა ადვოკატმა ლევან სამუშიამ, რომ ჯეოსელიდან გამოეთხოვა მტკიცებულებები, თუ საიდან განხორციელდა ზარები, მოსამართლემ უპასუხა, რომ 111-ე მუხლის თანახმად ეს არის ამოღებაო, ანუ ამის უფლება წაგვართვეს. ამ ცვლილებამ ადვოკატის მდგომარეობა უარესობისკენ შეცვალა. 25 ნოემბერს ბრიუსელში ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალურ დევნაზე გაიმართა მოხსენება, სადაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკითხი გაიტანეს პირველ საკითხად და მე პირადად ორი საათი დამითმეს, ხალხი გაოცებული მიყურებდა, რომ ისმენდა, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში ამ კუთხით. ნოემბრის თვეში საქართველოში ჩამოსული იყო ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია, რომელიც გავივანე მე-8 საპყრობილესთან და ვაჩვენე ადვოკატები, ისინი ასევე შეხვდნენ ყველა ნაცემ ადვოკატს, ანუ სახეზეა ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა. ადვოკატთა ასოციაციამ შეძლო ის, რომ ეს ყველაფერი აქცია საერთო ევროპულ საქმედ. სააკაშვილს მოუვიდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის წერილი ამ პრობლემებთან დაკავშირებით. თუნდაც ჟურნალისტები დემოკრატიის შუქურამ რა დღეში ჩაგაგდოთ. ჩვენი შუქურა ხელისუფლების სათავეში რომ მოვიდა, პირველი „იბერიაში“ ხომ შევარდა, ჩაიყვანეს შუქურა ამერიკაში და პრიზი მისცეს — კარგი ბიჭი ხარო, წაახალისეს სასამართლო რეფორმის განვითარებისთვის, შემდეგ შუქურას სპეცრაზმი „იმედში“ შევარდა, რა დამართეს ინგა გრიგოლიას და იქ მყოფებს, რომელიმე ჟურნალისტმა ამოიღო ხმა და დადო დასკვნა ჟურნალისტთა ინსტიტუციონალურ დევნაზე? ეს გავაკეთეთ ადვოკატთა ასოციაციამ. ის, რასაც მე ვაკეთებ, სააკაშვილს და მერაბიშვილს ეშინიათ გადამდები არ აღმოჩნდეს ჟურნალისტთა კორპუსისათვის, ხმა არ ამოიღონ ვეტერანებმა და სხვა. ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებელი არც ერთ ჩემს პრესკონფერენციას არ აშუქებდა და მერე რომ ვთქვი, რომ პერსონა ნონგრატად გამომაცხადეს-მეთქი, მერე დაიწყეს გაშუქება. ჩვენ მხარს გვიჭერს მხოლოდ და მხოლოდ ბეჭდური მედია, მხოლოდ მისი გადაბირება და შეშინება ვერ შეძლო დემოკრატიის შუქურამ.



***— საქართველოში არსებული პრობლემები რომელზეც ეხლა საუბრობთ, არაერთხელ მოხვდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თუ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების დასკვნაში, თუმცა, ხდება საპირისპირო, ყველაფრის მიუხედავად სააკაშვილი მისაღებია სწორედ მათთვის, ვინც მის რეფორმებს აკრიტიკებს.***

— სააკაშვილის რეჟიმი რომ ვამხილოთ ბოლომდე, საჭიროა ევროკავშირში, ევროპარლამენტში მუშაობა, იმიტომ, რომ ამერიკელებისათვის სააკაშვილი ყოველთვის არის მისაღები იმიტომ, რომ სააკაშვილი გააკეთებს ყველაფერს, რაც ამერიკელებს უნდათ, ეს დასკვნები და განცხადებები არის მეორეხარისხოვანი, პირველხარისხოვანი არის ის, რომ როდესაც სიტუაცია იძაბება, მაშინვე სააკაშვილს ეხმარებიან. მინდა გაგახსენოთ, ლევან გაჩეჩილაძემ როგორ მოუგო სააკაშვილს არჩევნები, ტეფტის ქმედებები გახსოვთ? რა უნდა ამერიკის ელჩს არჩევნებამდე საარჩევნო კომისიაში, ეს არ არის შინაურ საქმეებში ჩარევა? გოგი თოფაძემ ერთხელ, იცით, რა თქვა? რაიმე გადაწყვეტილებას რომ ვიღებდით, გვეშინოდა, ამერიკის ელჩს მოეწონებოდა თუ არაო. გიგა ბოკერიას რომ ჰკითხეს, ამას რომელი კანონებით ლობირებო და რომ უპასუხა, ჯორჯ ბუშის კანონებითო, გახსოვთ? აქედან გამომდინარე, დეპარტამენტს გაუკეთებია ერთი განცხადება მაინც — გიგა ბოკერიას ვინ ჰკითხავს, ჩვენი კი არა, საქართველოს კანონებით უნდა იხელმძღვანელოთო. აქ რაშია, იცით, საქმე? ისინი ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. მათი ნაბიჯები მიმართულია სააკაშვილის რეჟიმის განმტკიცებისაკენ. მე ვთვლი, რომ სააკაშვილი არის რიგითი გუბერნატორი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებით მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში, აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილი ყოველთვის იქნება მხარდაჭერილი ამერიკელების მხრიდან. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ როგორც კი ამერიკელების დაკრულზე არ იცეკვებს, ამერიკელები მაშინვე გადმოაგდებენ.

***— ამ შემთხვევაში მე ვერ ვხედავ იმ აქციების აზრს, რომელიც იმართებოდა და კიდევ უნდა დაიწყოს, ოპოზიცია ამ ყველაფერს რატომ ვერ აცნობიერებს?***

— შედეგს რომ მიაღწიო, სწორად უნდა დაგეგმო, მე ვფიქრობ, რომ დაიწყება დაუგეგმავი აქციები და ჩვენი ოპოზიცია ხალხის ნდობას საბოლოოდ დაკარგავს. გავიხსენოთ, რამხელა აგრესია იყო ხელისუფლების მიმართ 7 ნოემბერს, ეს აგრესია კი არ შენელდა, პირიქით, გაიზარდა, მაგრამ ვანო მერაბიშვილმა და სააკაშვილის იმიჯმეიკერებმა ოპოზიცია გახადეს ისეთივე არაპოპულარული და საზიზღარი, როგორიც არის ხელისუფლება. ოპოზიციის ამ დაუგეგმავმა ნაბიჯებმა საქართველოში ჩაკლა სურვილი რაიმეს გაკეთების. იმისათვის, რომ დასავლეთი მოგეხმაროს, სწორად უნდა დაგეგმო, ერთადერთი სწორი ნაბიჯი არის ის, რომ ქართველმა ხალხმა ხელმოწერებით მოითხოვოს სააკაშვილის არშეშვება ევროკავშირის ტერიტორიაზე, როგორც ეს მოხდა ლუკაშენკოს შემთხვევაში, თუ რაიმე ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, ევროპა მხარს არ დაგიჭერს, თუ ევროპა მხარს დაგიჭერს, ამერიკელები ველარ გააგრძელებენ სააკაშვილის მხარდაჭერას, იმიტომ, რომ ობამას დემოკრატის იმიჯიმ აქვს და თუ ევროკავშირმა თქვა, რომ ის არის სამოქალაქო საზოგადოების მტერი და მას ჩემს ტერიტორიაზე არ შემოუშვებ, ჩათვალეთ, რომ დაიწყება სააკაშვილის რეჟიმის დასასრულის დასაწყისი. სააკაშვილს მიტინგები უფრო აწყობს, ვიდრე ის, რომ მის წინააღმდეგ სამართლებრივად იბრძოლოს ხალხმა და პერსონა ნონ გრატად გამოაცხადონ.

# საქართველოს კანადაში ახალი ელჩი ეყოლება

ნანა მიშელაშვილი

საქართველოს კანადაში ახალი ელჩი ეყოლება. კანადაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლევან მეტრეველი იქნება. მეტრეველის კანდიდატურა გუშინ შევიდა პარლამენტში.

ლევან მეტრეველს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 2004 წელს ესტონეთის დიპლომატიურ აკადემიაში გაიარა კურსი ევროინტეგრაციის საკითხებზე. ლევან მეტრეველი სხვადასხვა წლებში იყო თბილისის საკრებულოსა და საქართველოს პარლამენტის წევრი.

2008 წლის 1 აგვისტოდან 2010 წლის 1 ივლისამდე ლევან მეტრეველი იყო რუმინეთის და მოლდოვას რესპუბლიკებში ელჩი. დღემდე არის რუმინეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

მას შემდეგ, რაც ლევან მეტრეველის კანდიდატურაზე პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი იმსჯელებს, მომავალი ელჩის კანდიდატურას პარლამენტი დაამტკიცებს.

წინასწარი ინფორმაციით, ლევან მეტრეველის კანდიდატურასთან დაკავშირებით პრეტენზიები არა აქვს საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას. საპარლამენტო პროცედურების გავლის შემდეგ საქართველოს ელჩი ლევან მეტრეველი კანადაში საქმიანობას შეუდგება.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე ელჩს უფლებამოსილება გაეზრდება დაიმავდროულად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლები იქნებიან. კერძოდ: სალომე სამადაშვილი ელჩი იქნება ბელგიის სამეფოსა და ევროკავშირში; პაატა გაფრინდაშვილი ავსტრიის რესპუბლიკაში და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში და ვენაში განლაგებულ ორგანიზაციებში; მამუკა კუდავა საფრანგეთის გარდა წარმომადგენელი იქნება იუნესკოში; იტალიაში საქართველოს ელჩი კოტე გაბაშვილი ასევე წარმომადგენელი იქნება რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში; გრიგოლ მგალობლიშვილი საქართველოს წარმომადგენელი იქნება ნატოში; ზურაბ ჭიაბერაშვილი შვეიცარიის კონფედერაციასა და ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წარმომადგენლი იქნება.

# ქართული ბეჭდური მედიის წარსული და აწმყო საჯაროა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ქართული პერიოდული გამოცემების ყველაზე სრულყოფილი კოლექცია გამოიფინა. პროექტი „ფონდ ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა.

ექსპოზიცია მისმა ორგანიზატორებმა მედიის თავისუფლების დღეს მიუძღვნეს და მას „ქართული ბეჭდური მედიის წარსული და აწმყო“ უწოდეს. როგორც გამოფენის გახსნაზე ითქვა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოში გამოცემული ბეჭდური პერიოდული გამოცემების ყველაზე სრულყოფილ კოლექციას ფლობს. მასში დაცულია მასალები 1819 წლიდან (პირველი ქართული გაზეთის გამოცემიდან) დღემდე. გამოფენაზე წარმოდგენილია 100-ზე მეტი ექსპონატი, მათ შორის ფოტომასალა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული გამოცემების (პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“, ცისფერყანწელთა გამოცემები, ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი მენშევიკური პრესა) დედნებიც.

გამოფენაზე გამოტანილი მასალები იმ პუბლიცისტებსა და საზოგადო მოღვაწეებზეა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს და დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში. ქართველ საზოგადოებას, მათ შორის, ჟურნალისტებსაც, არასდროს უნახავთ ქართული პერიოდული გამოცემების რეტროსპექტული, ქრონოლოგიურად დალაგებული გამოფენა, რომელიც თვალნათლივ ასახავდა ქართული ბეჭდური მედიის განვითარების საინტერესო და, ხშირ შემთხვევაში, დრამატულ ეტაპებს. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ასევე უცნობია, რა პოლიტიკურ გარემოში უწევდა მუშაობა ქართულ მედიას, რა ღირებულებებს ამკვიდრებდა და როგორ ხედავდა იგი საკუთარ თავს ამ რეალობაში. ასევე, ნაკლებად არის ცნობილი ქართული ბეჭდური გამოცემების უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი დიზაინი და მათი პოლიგრაფიული შესრულება.

გამოფენას წინ უძღოდა შემეცნებითი პრეზენტაციები ქართული პრესის განვითარებაზე, ქართულ მედიაში რეკლამის განვითარების ისტორიაზე. ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ქართული გაზეთების ელექტრონული კატალოგი და ქართული ჟურნალების ციფრული ბიბლიოთეკა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგეგმილი გამოფენა, რომელიც 5 მაისამდე გაგრძელდება, საინტერესოა როგორც ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევრებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის.

# აზერბაიჯანი საქართველოსა და სომხეთის დაახლოებას უყურადღებოდ არ დატოვებს

აზერბაიჯანის პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელის, პოლიტოლოგ მუბარიზ აჰმედოღლის განცხადებით, აზერბაიჯანი საქართველოსა და სომხეთის დაახლოებას უყურადღებოდ არ დატოვებს. აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა „სალამნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

— არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მივიდგეთ ბოლო დროს საქართველოს სახელმწიფო პირების ვიზიტებს სომხეთში. ამასთან, აზერბაიჯანი ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებს. არც ისე დიდი ხნის წინ, 25 აპრილს, ბაქოში ვიზიტით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იმყოფებოდა, რომელიც არც პრემიერ-მინისტრმა და არც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა არ მიიღო. ვთვლი, რომ ეს არის საკმაოდ სერიოზული მესიჯი აზერბაიჯანის მხრიდან, — აღნიშნა აჰმედოღლიმ. ბოლო პერიოდში ქართველი მაღალჩინოსნების ვიზიტები სომხეთში შესამჩნევლად გახშირდა. ერევანში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე იმყოფებოდა. მანდე კი სომხეთს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია და პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური სტუმრობდნენ.აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ საქართველოს მისწრაფება სომხეთთან დაახლოებისაკენ რამდენიმე მიზეზს უკავშირდება.

— ვფიქრობ, რომ დღეს სააკაშვილი მთელი ძალით ცდილობს რუსეთთან გაფუჭებული ურთიერთობების მოგვარებას და ამისათვის ცდილობს სომხეთის, როგორც შუამავლის გამოყენებას. სომხეთის პრეზიდენტისა და სომხეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წარმომადგენლების შუამავლობით, ის ცდილობს გაუგზავნოს მესიჯი ოფიციალურ მოსკოვს, — განაცხადა აჰმედოღლიმ.

მისი თქმით, გარდა იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტს სურს საკუთარი პოზიციის გამყარება დასავლეთში, ის ეძებს სომხეთის მხარდაჭერას საზღვარგარეთ, სწორედ ამიტომ ამ წელს საქართველოში „სომხების გენოციდი“ პრაქტიკულად იმავე დონეზე აღნიშნეს, როგორც თავად სომხეთში.

აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი აზერბაიჯანის მიმართ თბილ დამოკიდებულებას განიცდის და ამიტომ ამ მხრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში მათ მხარესაა.

— რაც შეეხება საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, თუკი ყველაფერი სამომავლოდაც ასე გაგრძელდება, აზერბაიჯანი თავის დასკვნებს გააკეთებს, — აღნიშნავს აჰმედოღლი.

მედიანიუსი

# ზურაბ ვაზაგაშვილის დაღუპვიდან 5 წლისთავზე კორტებთან ხალხმრავალი საპროტესტო აქცია გაიმართა

თბილისში, კორტებთან, სადაც 2006 წლის 2 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი დაიღუპნენ, საპროტესტო აქცია გაიმართა. ხალმხრავალ აქციას არასამთავრობო, ახალგარზდული ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. აქციის მონაწილეებმა ვაზაგაშვილის და ხუბულოვის მკვლელობაში შს მინისტრ ვანო მერაბიშვილი და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულეს.

საპროტესტო აქციის დაწყებამდე ახალგაზრდული მოძრაობების აქტივისტებმა შსს და პროკურატურის შენობებთან მსვლელობა მოაწყვეს. როგორც აქციის მონაწილეებმა განცხადეს, სანამ „სააკაშვილის რეჟიმი არ შეიცვლება, მან არ შეწყდება ახალგაზრდების ხოცვა და მათი მკვლელებისთვის ხელის დაფარება“.

— რეჟიმის შესაცვლელად კი ბრძოლაა საჭირო, — განცხადეს დემონსტრანტებმა.

2006 წლის 2 მაისს შს სამინისტრომ კორტებთან სპეცოპერაცია ჩაატარა. ოპერაციის დროს ზურაბ ვაზაგაშვილი და ზურაბ ხუბულოვი დაიღუპნენ.

მედიანიუსი

# რობერტ სტურუამ ნადირობის სეზონი გახსნა

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრში წინასაპრემიერო დღეებია. რეჟისორი რობერტ სტურუა ახალ წარმოდგენაზე მუშაობს, რომელსაც თამაზ ჭილაძის ნა-



წარმოების „ნადირობის სეზონის“ მიხედვით დგამს.

სპექტაკლზე მუშაობას რეჟისორმა რამდენიმე თვე მოანდომა. მისი სურვილი იყო ახალ 2011 წელს სწორედ ამ სპექტალით შეხვედროდა, მაგრამ პრემიერამ მაისამდე გადმოიწია. სპექტაკლი ტრაგიკომიკური ფანტასმაგორიაა ერთ მოქმედებად. „ნადირობის სეზონის“ პრემიერა რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე 6 და 7 მაისს გათამაშდება. სპექტაკლის მხატვარი თემურ ნინუაა, კომპოზიტორი — გია ყანჩელი, ქორეოგარფი — კოტე ფურცელაძე, ხოლო რეჟისორის თანაშემწე — მარინა ამალლობელი.

სპექტაკლში მონაწილეობენ ლევან ბერიკაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, დავით გოცირიძე და გოგა ბარბაქაძე. მათთან ერთად ეპიზოდებში დაკავებული არიან ზაზა ბარათაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, გაგი სვანიძე და ბექა სონღულაშვილი.

თუ ვისზე აცხადებს ნადირობის სეზონს რობერტ სტურუა და რატომ გადაწყვიტა თამაზ ჭილაძის ნაწარმოების ტრაგიკომიკურ ფანტასმაგორიაში გადაწყვეტა, ამას პრემიერაზე მისული მაყურებელი თავად გაარკვევს. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი კი 6-12 ლარია.

# საქართველოს შემოქმედებითი კოლექტივები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

**პროფკავშირების კულტურის ცენტრში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა შემოქმედებითმა კოლექტივებმა კონცერტი გამართეს. ღონისძიების დასასრულს კი სპეციალურმა ჟიურიმ საუკეთესოები დაასახელა და ისინი სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა.**

პროფესიული კავშირების გაერთიანება მსგავსი ტიპის ღონისძიებებს სისტემატურად აწყობს. ისინი იწვევენ კომპეტენტურ ჟიურის, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდა შემოქმედებს აჯილდოებს. ღონისძიება საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელშეწყობით იმართება.

ამჯერად ჟიურის წევრებმა შეაფასეს ოზურგეთის შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე ბავშვთა კოლექტივი, ქუთაისის ვოკალური ანსაბლი „ქართუ“, ტაბახმელის საჯარო სკოლის აღსაზრდელები, მარნეულის აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრის კოლექტივი, გურჯაანის კულტურის ცენტრის წარმომადგენლები, გორის ვოკალური ანსაბლი „აია“, ქორეოგრაფიული ანსაბლი „ფრესკა“, ფოლკლორული ანსაბლი „მოძახილი“ და ფოლკლორული ანსაბლი „ალილო“.

წლევანდელ ჟიურის ხელმძღვანელობდა კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, ხოლო ჟიურის დანარჩენი წევრები იყვნენ კომპოზიტორები კახა ცაბაძე და გია მაჭარაშვილი, მომღერალი მანანა თოდაძე, ლოტბარი თამაზ ანდღულაძე, ქორეოგრაფები ომარ მხეიძე და მარინა გელაშვილი.

როგორც ღონისძიების დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, მსგავსი ღონისძიებები პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ სისტემატურად ჩატარდება, რაც ქართული კულტურის პოპულარიზაციას და მასში ახალგაზრდების აქტიურად ჩართვას ისახავს მიზნად.

**ირაკლი პეტრიაშვილი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე:**

— ტრადიციული ღირებულებები და ქართული იდეა — ეს ის ცნებებია, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სააღდგომო ეპისტოლეში, ახალგაზრდებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებად დაასახელა. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მოხარულია, რომ მის მიერ მხარდაჭერილი ეს ღონისძიება, რომლის მიზანსაც ახალგაზრდა შემოქმედების გამოვლენა და წახალისება წარმოადგენს, უწმინდესის მოწოდებასთან თანხვედრაშია.

**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი, ჟიურის თავმჯდომარე:**

— ძალიან საინტერესო ღონისძიებაა. ჩვენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები შევაფასეთ — ოზურგეთიდან, გორიდან იყვნენ ჩამოსული სხვადასხვა კოლექტივები.

— *ღონისძიებით კმაყოფილი ხართ?*

— ალბათ, გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ რაღაცები მოგვეწონა, რაღაცები — არა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ახალგაზრდობა ჩართულია ხელოვნებაში და კარგ საქმეს აკეთებს. ოზურგეთიდან იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. როგორც შემეძლო, მოვეფერე, ნახევრად გურული ვარ და გამიხარდა მათი დანახვა. ძალიან სასიკეთო საქმეა.

— *ჟიურის წევრებს გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდათ?*

— არა. ჩვენ არც გვიკამათია და არც განსაკუთრებული პრობლემები გვქონია. მადლობელი ვართ ყველასი, ირაკლი პეტრიაშვილის, ქალბატონი ნანა ცინცაძის, ყველა ორგანიზატორის, ვინც ამ ბავშვებს ასეთი დღესასწაული აჩუქა. ხალხი მრავალად იყო, თითქმის ანშლაგი იყო, რაც ასევე სასიხარულოა.

— *კიდევ მიიღებთ მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობას?*

— ასეთი ღონისძიებები ნამდვილად საჭიროა და ხშირადაც უნდა ტარდებოდეს. რეგიონები მაინც მოწყვეტილია ცენტრს და მათი საქმე ჩვენც უნდა ვიცოდეთ. შეიძლება ყველა არ იყოს მაღალი დონის, მაგრამ ზოგიერთი კარგი მომღერალია. იყო ქორეოგარფიული ანსამბლები, რომლებიც კარგად ცეკვავდნენ. მთლიანობაში მაინც კარგი საქმეა და ყველას, ვინც ეს საღამო მოაწყო, დიდ მადლობას ვეუბნები.

— *თუ კიდევ შემოგთავაზეს, მზად ხართ მონაწილეობისთვის?*

— მეც ვიქნები და ეგენიც. მთავარია მათ იგრძნონ, რომ ვიღაც მათზე ფიქრობს.

**გია მაჭარაშვილი, კომპოზიტორი, ჟიურის წევრი:**

— ძალიან კარგი წამოწყებაა. ერთი მხრივ მოხარული ვარ, რომ მსგავსი ღონისძიებები ახლაც კეთდება. ეს ადრეც კეთდებოდა და მადლობა ღმერთს, რომ ტრადიცია გრძელდება. მოზარდი ახალგაზრდების შემოქმედება, მათი შესაძლებლობები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში და მიმართულებით, დღესაც წარმოჩინდება. ამაში გაერთიანებულია ქართული ცეკვა, სიმღერა, საესტრადო სიმღერები, ზოგი ახალი, ზოგი ძველი, უცხოენოვანი სიმღერები. ეს ყველაფერი ერთმანეთშია აზელილი და ვისაც როგორ შეუძლია, ისე წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს. ზოგი ეჩვევა სცენას, ზოგიც — მიკროფონს ან ხალხთან ურთიერთობას. ეს ძალიან კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ გული მწყდება, რომ მათი შემოქმედება, თუ რა ხდება ქალაქგარეთ რაიონებში, არ არის უფრო ფართოდ გაშუქებული.

— *რთული იყო ჟიურის წევრობა?*

— არა. პირიქით, მესიამოვნა, რომ ქართული კულტურა მაინც აქტუალურია. ამ კონცერტმა დამანახა, რომ მათი ხელმძღვანელები ცდილობენ ბავშვმა უქმად არ დაკარგოს დრო და ის დაკავებული იყოს შემოქმედებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანს და ეტყობა, რომ მაინც უპატრონოდ არიან მიგდებულები, ამაში არ ვგულისხმობ არც მშობლებს და არც მათ ხელმძღვანელებს. საჭიროა, ეს ყველაფერი უფრო დაიხვეწოს,მათ სჭირდებათ ყურადღების მიქცევა. შეიძლება ბევრი თვითნაბადი ბრილიანტი იყოს მათ შორის და ისინი ჩვენს ქვეყანას აუცილებლად გამოადგებიან. მათში ბევრი ნიჭიერი სოლისტი და ქორეოგრაფიული ჯგუფია. საწყენია, რომ არ ხდება ამ ყველაფრის გაშუქება, დაფიქსირება. ტელევიზიებმა უფრო მეტი უნდა გააკეთონ, რომ მასიურად გახდეს ცნობილი მსგავსი ღონისძიებები. კარგი იქნებოდა მათ ხელმძღვანელებთან, ანსამბლის წევრებთან ინტერვიუები, ეს მათთვის უფრო მეტი სტიმულია. ქართველმა მაყურებელმაც მეტი უნდა იცოდეს მსგავსი ღონისძიებების შესახებ. რაიონებში ჩაკეტილი ხალხისთვის ეს დიდი საჩუქარია, რადგან მიყრუებულია იქ ყველაფერი. რაიონებში ფაფხურობენ, წვალობენ, შრომობენ, მაგრამ რისთვის კეთდება, რატომ კეთდება, ვინ არის ამ ყველაფრის დამნახავი და გამჟღერებელი? არც არავინ. ამ ყველაფრის მიმართ რეაქცია არის ნული. კარგია, როცა სიგელები გადაეცემათ, მაგრამ მათშეძლებისდაგვარად სჭირდებათ ზემოდან პატრონობა. ცოტა მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს მათი შემოქმედების ჩვენება. სიგელი სიგელია, მაგრამ იმ სიგელთან ერთად ნივთი ან საპატიო ჯილდო რომ გადავცეთ, ის უფრო მეტი სიხარულია. როცა შემოდებს კარადაზე ან ჩამოკიდებს კედელზე, ყველაფერი სხვანაირად გაახსენდება, თორემ ფარატინა ოთხკუთხედი ქაღალდები არაფერს წყვეტს. მარტო ორგანიზატორი ამ ყველაფერს კი ვერ გაწვდება. მსგავს ღონისძიებებს არ ჰყავს სპონსორი, არადა, რა დიდი სპონსორობა ამათ სჭირდებათ? ისინი საქართველოს მომავალი თაობაა, ფეხს აიდგავენ, თუმცა შეიძლება სულ სხვა პროფესია აირჩიონ, აღარც იმღერონ და აღარც იცეკვონ, მაგრამ ის მოგონებები ხომ სამუდამოდ ლამაზად დარჩებათ მეხსიერებაში?!

— *ღონისძიებით ხართ უკმაყოფილო?*

— არა, რა თქმა უნდა, არა. სიმართლე გითხრათ, მასში მონაწილეები შემეცოდნენ. იწვალეს, ჩამოვიდნენ, საკუთარი შემოქმედება აჩვენეს და რა? არაფერი. პასუხისმგებლობაც ჰქონდათ, შიშიც, მაგრამ გრანდიოზულობა არ იყო. ვინმეს ახსოვს? ვინმემ ნახა? არავინ. მარტო დარბაზში მყოფმა ადამიანებმა ნახეს, რომელთა უმეტესობა მათი მშობლები იყვნენ. არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება ხელოვნებაში. ნიჭიერი მომავალი თაობა გვყავს და მათ მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ. ხუთ ბავშვში ერთიც რომ გამოდგეს ნიჭიერი, ეს ჩვენი ქვეყნისთვის დიდი პლუსია. რამდენადაც მსგავს ღონისძიებებში დადებითი მომენტია და აჩვენებენ საკუთარ შემოქმედებას, იმდენად უარყოფითია ის მომენტი, რომ მათდამი ინტერესი ნულის ტოლია. ყველა შემთხვევაში მათ წარმატებებს ვუსურვებ და ყოველთვის დიდი სიამოვნებით დაველოდები მათ ჩამოსვლას თბილისში.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# გაერომ ლიბია დატოვა



გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ ლიბიის დედაქალაქში გაეროს მისიაზე თავდასხმის შემდეგ ტრიპოლიდან თავისი საერთაშორისო პერსონალი გაიწვია.

გაეროს წარმომადგენლების თქმით, ლიბიაში გაეროს პერსონალის ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს მომავალ კვირას განიხილავენ.

კვირას ტრიპოლიში მდებარე გაეროს დიპლომატიური მისიის შენობა მუამარ კადაფის მომხრეების თავდასხმის სამიზნე გახდა. მათი მრისხანება ნატოს სარაკეტო თავდასხმის შედეგად კადაფის ვაჟის დაღუპვამ გამოიწვია.

გაერო იძიებს ინფორმაციას მისი შენობისათვის ზიანის მიყენების შესახებ.

გარდა ამისა, ბრბომ თავი მოიყარა აგრეთვე იტალიის და აშშ-ის საელჩოების მახლობლად. ამ შენობებისათვის ზიანის მიყენების შესახებ არაფერია ცნობილი.

ლიბიის ხელისუფლები ამტკიცებენ, რომ ტრიპოლიზე ნატოს ძალების თავდასხმის შედეგად დაიღუპა მუამარ კადაფის ვაჟი, საიფ ალ-არაბი, აგრეთვე ლიბიელი ლიდერის სამი შვილიშვილი.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ვილაში, რომელიც თავდასხმის სამიზნე გახდა, კადაფიც იმყოფებოდა, მაგრამ იგი არ დაზარალებულა.

უცხოელი ჟურნალისტები შემთხვევის ადგილას მიიყვანეს და აცნობეს, რომ საიფ ალ-არაბის კუთვნილი სახლი სერიოზულად არის დაზიანებული. ვილაზე გადაღებული კადრების თანახმად, შენობის ნანგრევებში აუფეთქებელი ბომბი მოჩანს.

29 წლის საიფ ალ-არაბი კადაფის უმცროსი ვაჟი გახლდათ. იგი ძმასთან, საიფ ალ-ისლამთან შედარებით მედიის ყურადღებას ნაკლებად იპყრობდა. ცოტა ხნის წინ იგი სამშობლოში გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც სასწავლებლად იმყოფებოდა.

ლიბიის ხელისუფლების განცხადებით, ეს თავდასხმა მათი ლიდერის განადგურების პირდაპირ მცდელობას წარმოადგენდა.

ნატო კადაფის ოჯახზე მიზანმიმართული იერიშის განხორციელებას უარყოფს და აცხადებს, რომ ტრიპოლიში მართლაც დაიბომბა რამდენიმე ობიექტი.

ნატოს განცხადების თანახმად, კოალიციის ძალები ღამის განმავლობაში წერტილოვან დარტყმებს ახორციელებდნენ, მათ შორის შენობაზეც, რომელიც ნატოსათვის ცნობილი იყო, როგორც ბაბ ალ-აზიზიას რაიონის კონტროლისა და მართვის სახელმწიფო პუნქტი.

ლიბიაში ნატოს ჯარების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ შარლ ბუშარის თქმით, ამ მიზნის დაზიანება სამხედრო ხელმძღვანელობის პუნქტების განადგურების ტაქტიკის ნაწილს წარმოადგენდა.

ბუშარის თქმით, ნატო ლიბიაში მხოლოდ სამხედრო ობიექტებს ესხმის თავს, თუმცა მსხვერპლთან დაკავშირებით სინანული გამოთქვა.

თავდასხმის შედეგად ლიბიის ლიდერის ვაჟის დაღუპვის ინფორმაციის დადასტურება დამოუკიდებელი წყაროებით ვერ ხერხდება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალისტერ ბერთმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია დაუდასტურებელი რჩება.

გ.თ.

# აშშ-ის ხელისუფლებმა უსამა ბინ ლადენის მოკვლის განცხადება გაავრცელეს

აშშ-ის ხელისუფლების განცხადებით, მოკლულია ალ-კაიდას ლიდერი უსამა ბინ ლადენი, რომელიც 2001 წელს ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი თავდასხმების შემდეგ აშშ-ის უპირველეს მტრად იყო გამოცხადებული.

გავრცელებული ცნობების თანახმად, უსამა ბინ ლადენი პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადის მახლობლად ვილაზე მოკლეს.

ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე თეთრი სახლის წინ ხალხის ჯგუფმა მოიყარა თავი, რომლებიც „აშშ, აშშ"-ს გაიძახოდნენ. ამერიკელებისადმი მიმართვაში აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ პოსტის დაკავების შემდეგ მან უსამა ბინ ლადენის შეპყრობის ან მოკვლის განკარგულება გასცა.

მისი თქმით, უსამა ბინ ლადენის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია ამერიკელებმა 2010 წლის აგვისტოში მიიღეს.

მიმდინარე წლის მარტში ეს ინფორმაცია დადასტურდა. აპრილის ბოლოს აშშ-ის პრეზიდენტმა უსამა ბინ ლადენის შეპყრობის ან მოკვლის განკარგულება გასცა.



ოპერაციაში ამერიკელი საზღვაო ქვეითები მონაწილეობდნენ. სროლის დროს უსამა ბინ ლადენი დაიღუპა.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, პაკისტანის ხელისუფლებმა ამერიკელებს ბენ ლადენის ძებნაში სასიცოცხლო მნიშვნელობის დახმარება გაუწიეს.

2001 წელს აშშ-ის სპეცსამსახურებმა ბინ ლადენს „მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის" სტატუსი მიანიჭეს, დააკავეს მისი საბანკო ანგარიშები და ინფორმაციისათვის, რომელიც მის დაკავებას შეუწყობდა ხელს, 5 მილიონი დოლარი ჯილდო დააწესეს.

2001 წლის მოვლენების შემდეგ უსამა ბენ ლადენი ავღანეთში იმყოფებოდა და მოძრაობა „თალიბანის" სტუმრად ითვლებოდა.

2004 წლის აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების წინ მორიგ ვიდეომიმართვაში უსამა ბინ ლადენმა 2001 წლის ტერორისტულ აქტებში ალ-კაიდას მონაწილეობა საჯაროდ დაადასტურა.

გარდა ამისა, განაცხადა, რომ ამ აქტებთან უშუალო კავშირი ჰქონდა.

ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ უსამა ბენ ლადენი იმალებოდა.

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ბენ ლადენის მოკვლის ინფორმაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტია როგორც 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების, ან ალ-კაიდას სხვა თავდასხმების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის, ასევე მთელი მსოფლიოს მოსახლეობისათვის, ვისაც თავისუფალი და მშვიდობიანი მომავლის შენება სურს.

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა გრძელდება და ამერიკამ ყველას თვალნათლივ აჩვენა, რომ იმის მიუხედავად, თუ რამდენ დრო იქნება საჭირო, სამართლიანობა მაინც იზეიმებს.

გ.თ.

## დღის კალენდარი



**3 მაისისთვის**

**წლის 113-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 242 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

აღდგომიდან მე-2 შვიდეული. სამშაბათი

მიცვალებულთა ხსენება.

ღირსისა თეოდორე ტრიქინასი; მღვდელმთავართა: გრიგოლისა (593) და ანასტასი სინელისა (599), ანტიოქელ პატრიარქთა; ღირსისა ანასტასისა, სინას მთის იღუმენისა (VII); მოციქულისა 70-თაგანისა ზაქესი, მეზვერეყოფილისა (I).

**დაიბადნენ:**

1469 — ნიკოლო მაკიაველი, იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, სამხედრო თეორეტიკოსი, დიპლომატი. გარდაიცვალა 1527 წელს.

1707 — ჰენრი ფილდინგი, ინგლისელი მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1754 წელს.

1898 — გოლდა მეირი, ისრაელის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი.

1941 — ნონა გაფრინდაშვილი, ცნობილი ქართველი მოჭადრაკე, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ქალებსა და ვაჟებს შორის.

1961 — გიორგი (გია) ბურჯანაძე, მსახიობი, კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

**გარდაიცვალნენ:**

2000 — მამუკა კიკალეიშვილი, რეჟისორი, მსახიობი.

**მოვლენები:**

1803 — შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთისგან ლუიზიანა იყიდა.

1815 — შეიქმნა პოლონეთის სამეფო, რომელიც რუსეთის სამფლობელოში შევიდა.

1906 — სინას ნახევარკუნძული ეგვიპტის ტერიტორია გახდა მას შემდეგ, რაც თურქეთმა უარი თქვა თავის პრეტენზიებზე მის მიმართ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე

მედიანიუსი

## რას ფიქრობთ საკუთარ თავზე?

ტესტი



1. თუ იცავთ ბოლომდე საკუთარ აზრს იმ შემთხვევაშიც, თუ მართალი არ აღმოჩნდებით?
2. მაღაზიაში ცუდი მომსახურების შემთხვევაში თუ უცხადებთ პრეტენზიებს დირექტორს?
3. თუ ხართ კმაყოფილი საკუთარი გარეგნობით?
4. მიგაჩნიათ, რომ თქვენ, ისევე როგორც სხვებს, მრავალი ფარული უნარი გაგაჩნიათ?
5. მოსწონხართ თუ არა ადამიანებს?
6. კარგად თუ გამოგდით ის, რასაც აკეთებთ?
7. კრიტიკულ სიტუაციაში ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებთ?
8.მიგაჩნიათ, რომ უფრო მეტი ღირსება გაქვთ, ვიდრე ნაკლი?
9. კარგი მეხსიერება გაქვთ?
10. ტანისამოსის ყიდვის წინ ყოველთვის კითხულობთ რჩევას?
11. მიგაჩნიათ თუ არა თავი კარგ საყვარლად?
12. შეგიძლიათ თუ არა ადამიანებთან მუშაობა?

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-4 ქულა:** ძალიან მოკრძალებული ხართ. საკუთარი ძალები უნდა ირწმუნოთ. ნუ ფიქრობთ მხოლოდ თქვენს სისუსტეებზე. პატივი ეცით საკუთარ თავს და სხვებიც მოგბაძავენ.

**5-8:** საკმაოდ დარწმუნებული ხართ საკუთარ თავში, მაგრამ ხანდახან ეჭვი გიპყრობთ, სძლიეთ ამ ეჭვს.

**9-12:** იცით, რისი უნარი შეგწევთ, ითვალისწინებთ როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეებს. დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში, თუმცა ადამიანებს ხანდახან აუტანელი და ქედმაღალი ჰგონიხართ. ცოტა მოკრძალებულობა არ გაწყენდათ.

გ.თ.

## სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ჰუმანური, კეთილშობილი, სათნო, ლამაზი ქალბატონის

**ნანა ბებიას**

გარდაცვალებას.

**ახლობლები კუსუნა და გოჩა მზარელუები**

---

საზოგადოება „კუს ტბა" სამძიმარს უცხადებს ლალი, ლევან ხორავებს უსაყვარლესი ადამიანის

**გიორგი კარანაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს რადიო-ჟურნალისტიკის კაბინეტის გამგის, თინა გაბუნიას დედის

**ასია ავეტისოვა-გაბუნიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ია, გურამ, დიმა, გოგა ბენაშვილები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსათნოესი ქალბატონი, მხატვარ-კერამიკოსი

**ცაცა მირცხულავა**

---

ნელი კეპულაძე, შვილები მარინე, ირინე, ბესიკ გოფოძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკი

**ნელი კალანდარიშვილი-პაიჭაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

შპს „საქართველოს ტელე-რადიოცენტრის" თანამშრომლები დიდი მწუხარებით უსამძიმრებენ დირექტორს, ბატონ გიორგი დეკანოსიძეს მამის, კავშირგაბმულობის სამინისტროს ყოფილი მუშაკის, შესანიშნავი პიროვნების

**ელდარ დეკანოსიძის**

გარდაცვალების გამო. თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს „საქართველოს ტელე-რადიოცენტრის" დირექტორს, ბატონ გიორგი დეკანოსიძეს მამის

**ელდარ დეკანოსიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. ესპანელი აზნაური; 3. სამშენებლო მინერალი, წითელი ფერის მოსაპირკეთებელი ქვა; 4. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 6. ისტორიული სახელმწიფო მესოპოტამიაში; 8. ქარბორბალას მეორე სახელწოდება; 11. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვეციის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18. სურნელოვანი პარფიუმერული ფხვნილი.

**თარაზულად:** 1. ბასკი ოპერის მომღერალი მამაკაცი, ტენორი; 5. ჯარების მართვის ორგანო; 7. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 9. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 10. უღელტეხილი აჭარაში; 13. თვითმფრინავის, გემის დაქირავება გარკვეული წესითა და პირობებით; 14. უკრაინული ლუდი; 15. კინოპრემია ესპანეთში; 19. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 20. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი ქალი; 21. საფოსტო გზავნილება; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. აკაცია; 8. კანდელი; 9. პრომილე; 10. დამბაჩა; 12. ბანკი; 13. ირიტი; 14. ტრომბონი; 19. მანდილი; 21. კანაფი; 23. მასრა; 24. ანდორა; 25. ალგებრა; 26. სარდინია.

**შვეულად:** 1. კალდერა; 2. კარმენი; 3. ალიონი; 4. ქრომი; 5. კალატოზი; 7. ინა; 11. ჩამიჩი; 15. სანდალი; 16. მირაჟი; 17. საინი; 18. ამება; 20. ლეიბი; 22. ფორე.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნაირა; 2. რე; 3. არ; 4. ადა; 5. ინა; 6. სენა; 7. სვია; 8. მის; 9. იარ; 10. მისია; 11. ხახა; 12. ვედრო; 13. ტახი; 14. ქორი; 15. კია; 16. მარტი; 17. სარო; 18. რახი; 19. ქადა; 20. ფხა; 21. სპა; 22. ალავერდი; 23. კენტავრი; 24. კარადა; 25. დრო; 26. დონ; 27. ნოსირი; 28. პინა; 29. მასრა; 30. პირამიდა; 31. ასი; 32. რეა; 33. ბი; 34. თამადა; 35. ალ.

**სურათებზე:** ვანესა რედგრეივი; დიეგო ფორლანი.

# გოლუხვ მატჩში კლასმა იმარჯვა

**დინამო — კოლხეთი 4:2**

**თბილისი.** *ეროვნული სტადიონი*

1:0 ფანცხავა (5), 1:1 გვალია (17), 2:1 არზიანი (26), 2:2 მდივნიშვილი (40), 3:2 კაკუბავა (53), 4:2 ჯუსი (65)

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, კაკუბავა, გ.კვარაცხელია, მაროვიჩი, არზიანი, თექთურმანიძე, კოშკაძე (კვეკვესკირი 12), რობერტინიო, ჯუსი (კახელიშვილი 76), ფანცხავა (ტატანაშვილი 82)

**კოლხეთი:** ძაგანია, ცხვიტარია, მახვილაძე, ინწკირველი, მეგრელიშვილი, გვალია, გოგონაია (პ.დათუნაიშვილი 64), ჯანაშია, კვერენჩხილაძე (სიჭინავა 77), სამადაშვილი (წიქარიშვილი 46)

**გაძევება:** კაკუბავა (90)

„დინამო“ ამ მატჩის უპირობო ფავორიტად ითვლებოდა და მოიგო კიდეც, მაგრამ ეს გამარჯვება იოლად მოვიდაო ვერავინ იტყვის. ერთია, კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

ამ სეზონში თბილისელები დაცვაში ერთ-ერთი ყველაზე შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ და ეს გაშვებულ გოლებშიც აისახება, მაგრამ რაც ფოთელებთან მატჩში „დინამოს“ დაცვამ და მეკარემ შეცდომა დაუშვა, ალბათ მთელი სეზონის მანძილზე არ დაუშვიათ.

„დინამოს“ პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა — მე-5 წუთი იყო, როდესაც გრძელი პასის შემდეგ დონალდ ჯუსიმ თავით მოიგო ბრძოლა და ბურთი საჯარიმოს სიღრმეში გადაამისამართა, სადაც ვახტანგ ფანცხავამ ფოთელთა მცველებს ვარდნაში დაასწრო, ფეხით გადაგზავნა კარში.

სწრაფი გოლის შემდეგ ტრიბუნაზე შეკრებილმა გულშემატკივარმა “დინამოს“ იოლი გასეირნება იწინასწარმეტყველა, თუმცა ფოთელები სხვაგვარად ფიქრობდნენ და მე-17 წუთზე, ლაშა გვალიამ შორიდან ძლიერი დარტყმით ბურთი გიორგი ლორიას კარის „ცხრიანში“ შეაგდო — 1:1.

მანამდე მასპინძელთა ერთ-ერთმა ლიდერმა და გუნდის კაპიტანმა ალექსანდრე კოშკაძემ ფეხი იტკინა და მართალია, ორიოდ წუთს დარჩა მინდორზე, მაგრამ შეცვალეს და მის ნაცვლად ნიკა კვეკვესკირი შევიდა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, ფოთელებს ცოტაღა დააკლდათ მორიგ გოლამდე. მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს პაატა ცხვიტარია





დახვდა და თავით ოდნავ ააცილა — ტრიბუნებზე განწყობა შეიცვალა და მოვლენების უფრო საინტერესოდ განვითარებას დაელოდნენ — ასეც მოხდა.

26-ე წუთზე, “დინამო“ ისევ დაწინაურდა — ზურაბ არზიანის ჯარიმის შემდეგ ყველა ბურთის საჯარიმოში ჩაწოდებას ელოდებოდა, მან კი კარისკენ გაგზავნა და სტუმართა მეკარე ლაშა ძაგანიამ მხოლოდ ხაზის შიგნიდან მოახერხა ბურთის გამოტანა.

ამის შემდეგ მომენტები ორივე კართან შეიქმნა. მათგან გამოსარჩევი იყო ზამირ ჯანაშიას კარგი პოზიციიდან აცილებული ბურთი. ერთია, პირველივე ტაიმში „კოლხეთმა“ მაინც გაიტანა — ახლა უკვე ლევან მდივნიშვილმა გაისროლა შორიდან და — 2:2. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ლორიას სველ მინდორზე ფეხი დაუცურდა და გოლიც გარკვეულწილად მის სინდისზეა.

„კოლხეთს“ შესვენების შემდეგაც შეეძლო გატანა, თუმცა, 61-ე წუთზე, გიგა კვერენჩხილაძემ თითქმის ერთი-ერთზე გასვლა ვერ გამოიყენა და კარს გადააცილა ბურთი, ბოლო წუთზე კი ლორიამ მდივნიშვილის შორიდან გასროლილი მოიგერია. კიდევ იყო პატარ-პატარა ნახევრად მომენტები თბილისელთა კართან, თუმცა, “დინამოს“ უფრო მეტი შანსი ჰქონდა და უფრო უკეთესადაც გამოიყენა.

53-ე წუთზე გიორგი თექთურმანიძემ საჯარიმო ჩააწოდა, ჯუსიმ თავით ვერ დაარტყა, თუმცა, პასი კი გამოუვიდა და ლევან კაკუბავამ ახლო მანძილიდან შეაგორა ბურთი კარში — 3:2.

65-ე წუთზე “დინამომ“ კიდევ ერთხელ ისარგებლა სტუმართა მცველებისა და მეკარის შეუთანხმებლობით: ფანცხავამ თავით გადაუგდო ბურთი ჯუსის, რომელმაც სისწრაფეში აჯობა მცველებს და კარიდან 20 მეტრის სიშორეზე გამოსული ძაგანია უსაქმოდ დატოვა, ფეხით ზუსტად დაარტყა — 4:2 და მატჩის ინტრიგაც აქ მოკვდა.

ერთია, „დინამოს“ ეს მატჩი 2 ფეხბურთელის დანაკლისად დაუჯდათ — კოშკაძის ტრავმაზე უკვე მოგახსენეთ, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე ბოლო იმედის ჯარიმისთვის მოედნიდან ლევან კაკუბავა გააძევეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 32 | 21 | 6 | 5 | 60:16 | 69 |
| 2.დინამო | 32 | 18 | 9 | 5 | 49:19 | 63 |
| 3.ოლიმპი | 33 | 18 | 6 | 8 | 45:26 | 60 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 32 | 14 | 4 | 14 | 34:34 | 46 |
| 5.ტორპედო | 32 | 11 | 12 | 9 | 24:20 | 45 |
| 6.ბაია | 32 | 11 | 5 | 16 | 28:44 | 38 |
| 7.სიონი | 32 | 9 | 9 | 14 | 24:38 | 36 |
| 8.კოლხეთი | 32 | 8 | 9 | 15 | 21:42 | 33 |
| 9.ცხინვალი | 32 | 6 | 9 | 17 | 28:40 | 27 |
| 10.სამტრედია | 32 | 6 | 7 | 19 | 24:58 | 25 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 16 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 14, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 13, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 12, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 11

# ამაური: „იტალიის ნაკრებში დაბრუნება მწამს“

გაიტალიელებულ ბრაზილიელ თავდამსხმელ ამაურისთვის ტურინის „იუვენტუსიდან“ „პარმაში“ განათხოვრების წესით გადასვლა წარმატებული აღმოჩნდა. თავდაპირველად ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც ფეხბურთელს სურდა, მაგრამ შემდეგ სიტუაცია გამოსწორდა და 30 წლის თავდამსხმელის გოლებით გუნდმა, რომელიც სერია ა-ში დასარჩენად იბრძვის, გამარჯვებათა სერია მოიპოვა.

ახლა ამაურის ანგარიშზე, „პარმას“ მაისურით, სერია ა-ს თერთმეტ შეხვედრაში გატანილი 7 გოლია. ფეხბურთელი ისევ იმედოვნებს, რომ კარგი თამაშით იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის ყურადღებას მიიპყრობს და მალე ქვეყნის პირველ გუნდში დაბრუნდება. ამაურიმ ჯერ არ იცის, სეზონის დასრულების შემდეგ „იუვენტუსში“ დაბრუნდება თუ სხვა ვარიანტს აირჩევს, თუმცა, ამჟამად მხოლოდ „პარმაზე“ და მის დარჩენილ თამაშებზე ფიქრობს.

***— როდესაც „პარმაში“ მოხვედით, თქვით, რომ „იუვენტუსი“ ამის შემდეგ დაინახავდა, თუ ვინ იყო წარუმატებლობის მიზეზი. ახლა რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

— ასეთი დიდი გუნდის დატოვება იოლი არ იყო, მაგრამ თამაში და იმ უსიამოვნო პერიოდის გადალახვა მწყუროდა, რომელსაც ტრავმებსა და დავაში ვატარებდი. მე მხოლოდ ერთი რამ მსურდა — მუდმივი სათამაშო პრაქტიკა. მაშინ ჩაკეტილი წრესავით იყო: ან ტრავმის გამო არ ვთამაშობდი, ან ფორმაში არ ვიყავი. ჩემი „ფიზიკა“ ისეა მოწყობილი, რომ აუცილებელია გამუდმებით ვითამაშო.

***— გამოდის, „პარმა“ კარგი არჩევანია?***

— პირველივე დღიდან ვიფიქრე, რომ სწორედ იმ გუნდში მოვხვდი, რომელიც მჭირდებოდა. ამის ბევრი მიზეზი იყო, ფეხბურთელები, კლუბის პრეზიდენტი... ლეონარდი ადაპტაციაში დამეხმარა. ყველა ბოლომდე მენდო. ასეთი ნდობა დიდი ხანია არავისგან მიგრძვნია.

***— ჩემპიონატში დიდი ხნის განმავლობაში გოლი ვერ გაგქონდათ. რას გრძნობს თავდამსხმელი, რომელსაც გოლი ვერ გააქვს?***

— მსგავსი რამ ხდება ხოლმე და ამ დროს თავდამსხმელი იძაბება. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ევროპის ლიგაში (3 გოლი ორ თამაშში), მაგრამ მერე ტრავმებმა შემაწუხეს და კვლავ ჩაკეტილი წრესავით ჩამოყალიბდა: ვითამაშებდი ერთ-ორ შეხვედრას, თავს კარგად ვგრძნობდი, მერე ისევ ტრავმას ვიღებდი და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ეს იყო რთული და წარუმატებელი პერიოდი. თავდამსხმელისთვის გოლი ყველაფერს ცვლის. როდესაც გაგაქვს, ძალები გემატება. ესეც ერთგვარი წრეა, მაგრამ სრულიად განსხვავებული.

***— კიდევ გაქვთ იმედი, რომ ჩეზარე პრანდელი ნაკრებში დაგიძახებთ?***

— რა თქმა უნდა. ახლა ამისი ისე მწამს, როგორც არასდროს. ყოველთვის მსურდა, რომ იტალიის ეროვნული გუნდის მაისურით მეთამაშა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მაქვს და ამისათვის მზად ვარ. მოცემული მომენტისათვის იმისთვის ვიბრძვი, რომ „პარმას“ უძლიერესთა შორის დარჩენაში დავეხმარო. ახლა მოდუნების უფლება არ გვაქვს და უკანასკნელ მატჩამდე სრული მობილიზება გვმართებს.

***— როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ „იუვენტუსი“ ასეთ პრობლემებს განიცდის?***

— თუ გგონიათ რომ გეტყვით, ამით კმაყოფილი ვარ-მეთქი, ძალიან ცდებით. მე „იუვენტუსის“ ფეხბურთელი ვარ და სულაც არ მსიამოვნებს გუნდს ასეთ სატურნირო მდგომარეობაში რომ ვხედავ. ისევე, როგორც „პარმას“, „იუვენტუსსაც“ ოთხი თამაში დარჩა და ევროთასების ზონაში მოსახვედრად ბოლომდე იბრძოლებს. ძალიან მარტივი იქნებოდა იმის თქმა, რომ ამაური „იუვენტუსისთვის“ ბევრ გოლს გაიტანდა და ამით გუნდის პრობლემები მოგვარდებოდა, მაგრამ ასე არაა.

***— მარინოსგან განსხვავებით, რა სიახლეები დანერგა კოლომბამ?***

— უწინარესად, მინდა გითხრათ, რომ ყოველთვის, როდესაც მწვრთნელს აძევებენ, პასუხისმგებლობა მოთამაშეებზე გადადის. რადგან მარინო გააძევეს, გამოდის, ეს ჩვენი ბრალია. „ბარისთან“ მატჩის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# სკანდალი ქართულ ფეხბურთში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლი არ ჰქონდეთ და თურმე ფეხბურთელები ჩადიან უკეთურ საქციელს. ფედერაციას უკვე გამზადებული აქვს წერილი ფიფასა და უეფაში გასაგზავნად, მაგრამ სანამ გამოძიება არ დასრულდება, ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. ფეხბურთელი, რომელიც საკუთარი გუნდის მატჩს ყიდის, ის ქალაქსაც გაყიდის და ქვეყანასაც. მსგავს ფაქტებს სხვაგანაც ჰქონდა ადგილი და ამის გამო იტალიაში პაოლო როსი 2 წლით ციხეში იჯდა. ამიტომ, ყველა უნდა დაისაჯოს, განსაკუთრებით ფეხბურთელი, რომელიც თამაშზე ფიქრის ნაცვლად, მინდორზე ყოფნისას აუტებსა და ყვითლებზე ფიქრობს.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ფეხბურთელები ჯერ კიდევ არ არის მთლიანი ჯგუფი?***

— როგორც უკვე გითხარით, დაისჯება ყველა, ვინც გარეულია ამ საქმეში. ვფიქრობ, ეს 5 ფეხბურთელი აისზბერგის წვერია. კადრებში კიდევ რამდენიმე ფიგურამ გაიღლერა და ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიებასთან ერთად ჩვენც ვიმუშავებთ.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ შუამავალი გაბედავაც ფეხბურთელია.***

— მის ფეხბურთელობასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ მაქვს.

***— როგორ ფიქრობთ, კლუბებიც გარეული არიან საქმეში?***

— ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. ძირითადად არიან იმ გუნდის ფეხბურთელები, რომელთაც ფინანსურად უჭირთ. ერთადერთი ის მიკვირს, რომ ამ საქმეში „ვიტ ჯორჯიაც“ ფიგურირებს. არ მგონია ამ გუნდს ასე უჭირდეს და არც მისი პრეზიდენტი იმსახურებს ფეხბურთელთა მხრიდან მსგავს მოქცევას.

***— 2 ფეხბურთელი უკვე განთავისუფლებულია, ითამაშებენ თუ არა ისინი ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში?***

— მომავალ ტურამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და მათი თამაშის შესახებ აღმასკომი უახლოეს დღეებში იმსჯელებს და ყველაფერს რეგლამენტის მიხედვით გადაწყვეტს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბირმინგემი-ვულვზი ........ 1:1
ლივერპული-ნიუკასლი ........ 3:0
არსენალი-მანჩესტერი ........ 1:0
სიტი-ვესტ ჰემი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 35 | 21 | 10 | 4 | 71:33 | 73 |
| 2.ჩელსი | 35 | 21 | 7 | 7 | 66:28 | 70 |
| 3.არსენალი | 35 | 19 | 10 | 6 | 68:36 | 67 |
| 4.სიტი | 35 | 18 | 9 | 8 | 53:31 | 63 |
| 5.ლივერპული | 35 | 16 | 7 | 12 | 54:39 | 55 |
| 6.ტოტენჰემი | 34 | 14 | 13 | 7 | 50:43 | 55 |
| 7.ევერტონი | 36 | 11 | 15 | 9 | 48:43 | 48 |
| 8.ბოლტონი | 35 | 12 | 10 | 13 | 48:48 | 46 |
| 9.ფულემი | 35 | 10 | 15 | 10 | 43:37 | 45 |
| 10.ვესტ ბრომ. | 35 | 11 | 10 | 14 | 51:65 | 43 |
| 12.სტოკი | 34 | 12 | 6 | 16 | 43:43 | 42 |
| 12.ნიუკასლი | 35 | 10 | 11 | 14 | 49:51 | 41 |
| 13.ას. ვილა | 35 | 10 | 11 | 14 | 44:57 | 41 |
| 14.სანდერლ. | 36 | 10 | 11 | 15 | 41:55 | 41 |
| 15.ბირმინგემი | 34 | 8 | 15 | 11 | 34:50 | 39 |
| 16.ბლექბერნი | 35 | 10 | 8 | 17 | 41:55 | 38 |
| 17.უიგანი | 34 | 7 | 14 | 13 | 35:55 | 35 |
| 18.ბლექპული | 35 | 9 | 8 | 18 | 48:70 | 35 |
| 19.ვულვზი | 35 | 9 | 7 | 19 | 38:61 | 34 |
| 20.ვესტ ჰემი | 35 | 7 | 11 | 17 | 40:63 | 32 |

### იტალია. სერია ა

კატანია-კალიარი ........ 2:0
კიევო-ლეჩე ........ 1:0
მილანი-ბოლონია ........ 1:0
პარმა-პალერმო ........ 3:1
სამპდორია-ბრეშა ........ 3:3
ფიორენტინა-უდინეზე ........ 5:2
ბარი-რომა ........ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 35 | 23 | 8 | 4 | 61:23 | 77 |
| 2.ინტერი | 35 | 21 | 6 | 8 | 62:39 | 69 |
| 3.ნაპოლი | 35 | 21 | 5 | 9 | 55:34 | 68 |
| 4.ლაციო | 34 | 18 | 6 | 10 | 46:32 | 60 |
| 5.უდინეზე | 35 | 18 | 5 | 13 | 61:42 | 59 |
| 6.რომა | 35 | 17 | 8 | 10 | 55:49 | 59 |
| 7.იუვენტუსი | 34 | 14 | 11 | 9 | 52:42 | 53 |
| 8.პალერმო | 35 | 15 | 5 | 15 | 53:58 | 50 |
| 9.ფიორენტინა | 35 | 12 | 13 | 10 | 45:38 | 49 |
| 10.ჯენოა | 35 | 12 | 9 | 14 | 38:40 | 45 |
| 11.კალიარი | 35 | 12 | 8 | 15 | 42:44 | 44 |
| 12.ბოლონია | 35 | 11 | 10 | 14 | 34:47 | 40 |
| 13.კიევო | 35 | 10 | 12 | 13 | 33:35 | 42 |
| 14.პარმა | 35 | 10 | 11 | 14 | 37:46 | 41 |
| 15.ჩეზენა | 35 | 9 | 8 | 16 | 33:47 | 37 |
| 16.კატანია | 35 | 10 | 10 | 15 | 35:47 | 40 |
| 17.ლეჩე | 35 | 9 | 8 | 18 | 40:61 | 35 |
| 18.სამპდორია | 35 | 8 | 12 | 15 | 30:42 | 36 |
| 19.ბრეშა | 35 | 7 | 10 | 18 | 31:47 | 31 |
| 20.ბარი | 35 | 4 | 9 | 22 | 22:52 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

### იტალია. სერია ბ

ნოვარა-სიენა ........ 2:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალმერია-სევილია ........ 0:1
ლევანტე-ხიხონი ........ 0:0
მალაგა-ერკულესი ........ 3:1
რასინგი-მალიორკა ........ 2:0
ვილიარეალი-ხეტაფე ........ 2:1
ოსასუნა-ვალენსია ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 28 | 4 | 2 | 89:19 | 88 |
| 2.რეალი | 34 | 25 | 5 | 4 | 81:29 | 80 |
| 3.ვალენსია | 34 | 19 | 6 | 9 | 57:42 | 63 |
| 4.ვილიარეალი | 34 | 18 | 6 | 10 | 53:40 | 60 |
| 5.ატლეტიკო | 34 | 15 | 7 | 12 | 55:44 | 52 |
| 6.სევილია | 34 | 15 | 7 | 12 | 52:49 | 52 |
| 7.ბილბაო | 33 | 16 | 3 | 14 | 51:47 | 51 |
| 8.ესპანიოლი | 33 | 14 | 3 | 16 | 40:46 | 45 |
| 9.ლევანტე | 34 | 12 | 7 | 15 | 37:46 | 43 |
| 10.მალიორკა | 34 | 12 | 6 | 16 | 35:47 | 42 |
| 11.ხიხონი | 34 | 10 | 12 | 12 | 31:37 | 42 |
| 12.სოსიედადი | 34 | 13 | 2 | 19 | 45:58 | 41 |
| 13.სარაგოსა | 34 | 10 | 9 | 15 | 35:47 | 39 |
| 14.მალაგა | 34 | 11 | 6 | 17 | 47:64 | 39 |
| 15.ოსასუნა | 34 | 10 | 8 | 16 | 38:41 | 38 |
| 16.დეპორტივო | 34 | 9 | 11 | 14 | 27:42 | 38 |
| 17.ხეტაფე | 34 | 10 | 7 | 17 | 44:55 | 37 |
| 18.რასინგი | 34 | 10 | 10 | 14 | 34:49 | 37 |
| 19.ერკულესი | 34 | 9 | 6 | 19 | 30:53 | 33 |
| 20.ალმერია | 34 | 5 | 11 | 18 | 32:59 | 26 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-რაიო ........ 1:3
გრანადა-ტენერიფე ........ 2:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-ოსერი ........ 1:1
ტულუზა-ლიონი ........ 2:0
ნიცა-კაენი ........ 0:4
მონპელიე-ბრესტი ........ 0:0
სენტ ეტიენი-მონაკო ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 33 | 17 | 12 | 4 | 59:31 | 63 |
| 2.მარსელი | 33 | 17 | 11 | 5 | 51:30 | 62 |
| 3.ლიონი | 33 | 15 | 11 | 7 | 55:33 | 56 |
| 4.პსჟ | 33 | 15 | 11 | 7 | 50:34 | 56 |
| 5.რენი | 33 | 14 | 10 | 9 | 33:26 | 52 |
| 6.ლორიანი | 33 | 12 | 11 | 10 | 42:39 | 47 |
| 7.სოშო | 33 | 13 | 7 | 13 | 48:40 | 46 |
| 8.ბორდო | 33 | 10 | 15 | 8 | 40:35 | 45 |
| 9.სტ.ეტიენი | 33 | 11 | 12 | 10 | 41:40 | 45 |
| 10.მონპელიე | 33 | 11 | 11 | 11 | 29:36 | 44 |
| 11.ტულუზა | 33 | 12 | 6 | 15 | 34:35 | 42 |
| 12.ბრესტი | 33 | 10 | 11 | 12 | 34:37 | 41 |
| 13.ვალანსიენი | 33 | 8 | 15 | 10 | 38:37 | 39 |
| 14.მონაკო | 33 | 8 | 15 | 10 | 33:33 | 39 |
| 15.კაენი | 33 | 10 | 9 | 14 | 40:47 | 39 |
| 16.ნიცა | 33 | 9 | 12 | 12 | 27:41 | 39 |
| 17.ნანსი | 33 | 10 | 8 | 15 | 32:45 | 38 |
| 18.ოსერი | 33 | 7 | 18 | 8 | 37:38 | 37 |
| 19.ლანსი | 33 | 6 | 12 | 15 | 32:51 | 30 |
| 20.არლე | 33 | 1 | 11 | 21 | 16:63 | 14 |

### ჰოლანდია. ეკრედივიზიონი

ალკმაარი-გრააფსხაპი ........ 5:1
ბრედა-ერაკლესი ........ 1:2
ვენლო-ფეინოორდი ........ 3:2
დენ ჰააგი-გრონინგენი ........ 2:4
ნაიმეგენი-როდა ........ 5:0
ტვენტე-ტილბურგი ........ 4:0
ჰერენვენი-აიაქსი ........ 1:2
ექსელსიორი-უტრეხტი ........ 3:1
პსვ-ვიტესი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტვენტე | 33 | 21 | 8 | 4 | 64:31 | 71 |
| 2.აიაქსი | 33 | 21 | 7 | 5 | 69:29 | 70 |
| 3.პსვ | 33 | 20 | 8 | 5 | 79:34 | 68 |
| 4.ალკმაარი | 33 | 17 | 8 | 8 | 54:39 | 59 |
| 5.გრონინგენი | 33 | 17 | 5 | 11 | 65:52 | 56 |
| 6.როდა | 33 | 14 | 12 | 7 | 65:50 | 55 |
| 7.დენ ჰააგი | 33 | 16 | 6 | 11 | 63:52 | 54 |
| 8.ერაკლესი | 33 | 13 | 7 | 13 | 62:57 | 46 |
| 9.უტრეხტი | 33 | 12 | 8 | 13 | 50:50 | 44 |
| 10.ფეინოორდი | 33 | 12 | 7 | 14 | 52:53 | 43 |
| 11.ნაიმეგენი | 33 | 10 | 12 | 11 | 56:55 | 42 |
| 12.ჰერენვენი | 33 | 10 | 10 | 13 | 60:54 | 40 |
| 13.ბრედა | 33 | 11 | 5 | 17 | 43:60 | 37 |
| 14.ვიტესი | 33 | 9 | 8 | 16 | 41:57 | 35 |
| 15.გრააფსხაპი | 33 | 8 | 11 | 14 | 30:56 | 35 |
| 16.ექსელსიორი | 33 | 9 | 5 | 19 | 41:65 | 32 |
| 17.ვენლო | 33 | 6 | 3 | 24 | 34:75 | 21 |
| 18.ტილბურგი | 33 | 3 | 6 | 24 | 37:96 | 15 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

### პორტუგალია. ა ლიგა

ბეირა მარი-რიუ ავე ........ 1:1
ბრაგა-ლეირია ........ 0:0
მარიტიმუ-აკადემიკა ........ 1:0
ნავალი-ნაციონალი ........ 1:2
ოლჰანენსე-ბენფიკა ........ 1:1
სეტუბალი-პორტუ ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 28 | 26 | 2 | 0 | 68:13 | 80 |
| 2.ბენფიკა | 28 | 19 | 2 | 7 | 56:27 | 59 |
| 3.ბრაგა | 28 | 13 | 6 | 9 | 45:32 | 45 |
| 4.სპორტინგი | 28 | 12 | 9 | 7 | 40:30 | 45 |
| 5.ნაციონალი | 28 | 10 | 9 | 9 | 26:30 | 39 |
| 6.გიმარაეში | 28 | 10 | 7 | 11 | 32:37 | 37 |
| 7.რიუ ავე | 28 | 10 | 7 | 11 | 32:29 | 37 |
| 8.ფერეირა | 28 | 9 | 10 | 9 | 27:38 | 37 |
| 9.მარიტიმუ | 28 | 9 | 8 | 11 | 33:29 | 35 |
| 10.ბეირა მარი | 28 | 8 | 11 | 9 | 33:33 | 35 |
| 11.ლეირია | 28 | 8 | 7 | 13 | 21:35 | 31 |
| 12.ოლჰანენსე | 28 | 6 | 12 | 10 | 21:32 | 30 |
| 13.აკადემიკა | 28 | 7 | 8 | 13 | 31:43 | 29 |
| 14.სეტუბალი | 28 | 6 | 10 | 12 | 25:41 | 28 |
| 15.ნავალი | 28 | 5 | 8 | 15 | 26:47 | 23 |

# ნორჩი ფეხბურთელების წარმატება

საქართველოს 14 და 15-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებებმა წარმატებულად დაასრულეს საერთაშორისო ტურნირი „ლენარტ იუჰანსონის თასი 2011“, რომელიც სტოკჰოლმში, „უეფას“ ყოფილი პრეზიდენტის — ლენარტ იუჰანსონის აკადემიაში 29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით გაიმართა.

15-წლამდელები (მთ. მწვრთნელი ნოდარ აკობია) 1997 წლამდე დაბადებულთა შორის ტურნირის ჩემპიონები გახდნენ, ფინალში მათ ტურინის "იუვენტუსის" თანატოლები 1:0 დაამარცხეს, 14-წლამდელებმა (მთ. მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა) კი 1998 წლამდელთა შორის მე-3 ადგილი მოიპოვეს და ბრინჯაოს მედლებისათვის შეხვედრაში ამსტერდამის „აიაქსი“ 6:0 გაანადგურეს.

ტურნირი ორივე ასაკობრივ კატეგორიაში ჯგუფური ეტაპიდან დაიწყო. 15-წლამდელებმა ჯგუფში ავსტრიის "გრაცთან" 0:1 მარცხის შემდეგ, ფინური "ჰონკას" 4:0 სძლიეს, ამსტერდამის "აიაქსი" ნიკა ლაშხიას ჰეთ-თრიქის წყალობით 3:1 დაამარცხეს და ნახევარფინალში პირველი ადგილიდან გავიდნენ. ნახევარფინალში ნოდარ აკობიას გუნდმა ბერძნული "აიკი" გიორგი ჯობავასა და ნიკა ლაშხიას გოლებით 2:0 დაამარცხა, ფინალში კი "იუვენტუსს" გურამ გოშთელიანის გვიანი გოლით 1:0 სძლია.

დაჯილდოების ცერემონიალზე ქართველ ფეხბურთელებს მთავარი პრიზი თავად ლენარტ იუჰანსონმა გადასცა.15-წლამდელთა ნაკრები გუნდის წევრი — გიორგი ჯობავა კი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

14-წლამდელებმა ქვეჯგუფში ფინური "ჰელსინკი" 5:1 და დანიური "ლინგბუ" 1:0 დაამარცხეს, ტურნირის აშკარა ფავორიტ და მომავალ ჩემპიონ "მილანთან" კი 1:7 წააგეს და ქვეჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავეს. ნახევარფინალში 14-წლამდელებს ბერძნულ „პაოკთან“ მოეცარათ ხელი 0:1, მე-3 ადგლისათვის შეხვედრაში კი „აიაქსთან“ 6:0 იმარჯვეს.

„აიაქსის“ კარში პირველი გოლი ლუკა ვარძელაშვილმა (რომელმაც ტურნირზე ჯამში 3 გოლი გაიტანა) თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა, ჰეთ-თრიკი შეასრულა ირაკლი ბულრიძემ, თითოჯერ კი თავი დავით მოსულიშვილმა და რატი არდაზიშვილმა გამოიჩინეს.

# ამაური: „იტალიის ნაკრებში დაბრუნება მწამს“

დასაწყისი მე-10 გვერდზე

შემდეგ ეს თანაგუნდელებსაც ვუთხარი. შედეგად, მოედანზე უფრო მეტად ვიხარჯებით. კოლომბო ცდილობს, რომ თითოეული ფეხბურთელისგან უფრო მეტი სარგებელი მიიღოს.

— ***თუმცა, „პარმამ“ სეზონი სულ სხვა ამბიციით დაიწყო.***

— ეს სეზონი ყველასათვის უცნაური გამოდგა. წლის დასაწყისში „სამპდორია“ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სეზონის ბოლოს უძლიერესთა შორის დარჩენისთვის მოუწევდა ბრძოლა. მაგრამ სწორედ ამითაა კარგი სერია ა — გეჩვენება, რომ ძლიერი ხარ, ბოლოს კი, სულ სხვა ადგილას აღმოჩნდები. „პარმას“ შემადგენლობა უძლიერესთა შორის დარჩენისთვის ბრძოლას ნაჩვევი არაა, თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან დაბლა დავეშვით და ახლა გადარჩენისთვის ბრძოლა გვიწევს.

— ***მომავალ სეზონში საკუთარ თავს სად ხედავთ?***

— „იუვენტუსის“ ფეხბურთელი ვარ და სეზონის ბოლოს მის ხელმძღვანელობას დაველაპარაკები. თუმცა, ამჟამად „პარმაში“ ვთამაშობ და მხოლოდ მის წარმატებაზე ვზრუნავ.

— ***ამბობენ, რომ თქვენ ქალაქი მილანი მოგწონთ და იქ დიდი სიამოვნებით იცხოვრებდით.***

— დიახ, ეს ასეა.

# ბერლინმა და ვენამ „ახალევროპელებს“ კარი გაუღეს

პირველი მაისის შემდეგ ევროკავშირის შემადგენლობაში 2004 წელს შესული ქვეყნების მოქალაქეები დაუბრკოლებლივ შეძლებენ მუშაობას გერმანიასა და ავსტრიაში.



ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, უნგრეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის და სლოვენიის მოქალაქეებისათვის ამ ორი ქვეყნის შრომის ბაზარი დღემდე დახურული იყო.

2004 წელს გერმანიამ და ავსტრიამ ევროკავშირის ახალი წევრებისათვის თავიანთი საზღვრების გახსნის 7 წლით გადადების გადაწყვეტილება მიიღეს. მათ შრომითი მიგრანტების მოძალების ეშინოდათ.

მოსალოდნელია, რომ აღმოსავლეთ გერმანიიდან მუშახელის მეტი ნაწილი დასავლეთგერმანიაში გადავა. წინასწარი მონაცემებით, მათი რიცხვი 400-დან 1 მილიონამდე შეიძლება მერყეობდეს.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეებს ავსტრიასა და გერმანიაში მუშაობა მანამდეც შეეძლოთ, მაგრამ ამისათვის მათ დამქირავებლების მიწვევა ესაჭიროებოდათ.

ამიერიდან პოლონელები და რუმინელები საერთო პირობების მიხედვით შეძლებენ შრომის ბაზარზე გასვლას და ევროკავშირის სხვა მოქალაქეებისათვის კონკურენციის გაწევას ისეთ სამუშაო ადგილებზე, რასაც განსაკუთრებული განათლება არ ესაჭიროება.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება დამლაგებლებს, მომსახურე პერსონალს, ბარმენებს, ოფიციანტებს და ა.შ.

გერმანიის ქალაქ კიოლნის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის შეფასებით, უახლოესი ათი წლის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპიდან გერმანიაში გადასული შრომითი მიგრანტების რიცხვმა მილიონს შეიძლება გადააჭარბოს.

ეს იმ სამ მილიონზე ნაკლებია, რაც აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთში ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ გადავიდა. მიუხედავად ამისა, გერმანელების 40% შიშობს, რომ ახალი, შედარებით იაფი სამუშაო ძალის მოძალება მათ ხელფასებზე უარყოფითად იმოქმედებს.

მიგრაციის სახელმწიფო შეფასებები 400 ათასს არ აღემატება.

როგორც დიდი ბრიტანეთის გამოცდილება აჩვენებს, სადაც ევროკავშირის ახალი წევრების მოქალაქეებმა ჩასვლა ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყეს, მიგრაციის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია.

ბრიტანეთის ხელისუფლები მაშინ ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანა წელიწადში 5-13 ათას იმიგრანტს მიიღებდა. სინამდვილეში, მხოლოდ პოლონეთიდან დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად 60 ათასამდე ადამიანი ჩადიოდა.

ამჟამად თითქმის ყველა ბრიტანულ სუპერმარკეტში თაროებზე პოლონური საქონლის ხილვა არის შესაძლებელი.

თავად პოლონეთში ახალი ძალით გაღვივდა დებატები საზღვარგარეთ კვალიფიციური მუშახელის გადინების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

პოლონელი ექსპერტების ერთი ნაწილის ვარაუდით, შრომითი მიგრაცია პოლონეთს სარგებლობას მოუტანს, რადგან მიგრანტების ნაწილი მალე უკან დაბრუნდება და საზღვარგარეთ ნაშოვნ ფულს სამშობლოში ჩაიტანს.

ნიურნბერგის შრომითი მოწყობის საკითხების კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, იმიგრანტების არსებული ნაკადი არამცთუ არ მოახდენს ზეგავლენას გერმანიაში არსებული უმუშევრობის დონეზე, არამედ 2020 წლისათვის გერმანიის ეკონომიკის 1.5%-ით გაზრდას გამოიწვევს.

იმავდროულად, გერმანიის პროფკავშირები შიშობენ, რომ არაკვალიფიცირებული მუშახელის ბაზარზე, მაგალითად, მშენებლობებზე მიგრაცია უარყოფითად იმოქმედებს. პროფკავშირების აქტივისტებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება ამ სექტორში მინიმალური ხელფასების დაწესების შესახებ.

კამათი იმის შესახებ, სჭირდება თუ არა გერმანიას უცხოელი მუშახელი, უკვე 50 წელია მიმდინარეობს, მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობამ სამუშაოდ თურქები მიიწვია.

ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, ბიზნესის განვითარებისათვის გერმანიას შრომის ბაზარზე კონკურენცია ესაჭიროება.

იმავდროულად, გერმანიაში მრავლად არიან მიგრაციის მოწინააღმდეგეებიც. ასე, მაგალითად, გერმანელმა ბანკირმა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტმა ტილო სარაზინმა ამას წინათ განაცხადა, რომ „თურქები გერმანიას იპყრობენ“ და გარდა ხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობისა, მათ გერმანიის ეკონომიკაზე დადებითი ზეგავლენა არ მოუხდენიათ.

გ.თ.

# ირანის პრეზიდენტმა „გაფიცვა“ შეწყვიტა



ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა თავისი ოფიციალური მოვალეობების ბოიკოტირება შეწყვიტა და, გავრცელებული ცნობების თანახმად, მინისტრთა კაბინეტის სხდომას უხელმძღვანელა.

მაჰმუდ აჰმადინეჟადი სამუშაო აგილზე 22 აპრილის შემდეგ არ გამოჩენილა.

დამკვირვებლები ირანის პრეზიდენტსა და ქვეყნის სასულიერო ლიდერს, აიათოლა ჰამენეის შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის გამწვავებაზე მიანიშნებენ.

ირანის დაზვერვის სამსახურის უფროსი ჰეიდარ მოსლეჰი, რომელიც აჰმადინეჟადმა 17 აპრილს დაითხოვა, აიათოლა ჰამენეიმ თანამდებობაზე 24 აპრილს აღადგინა და იგი ესწრებოდა მთავრობის სხდომას, რომელიც აჰმადინეჟადის გარეშე ჩატარდა.

ამის შემდეგ ირანის პრეზიდენტმა თავისი ოფიციალური მოვალეობების ბოიკოტირება დაიწყო.

იგი არ გამოსულა საჯარო გამოსვლით, გამოტოვა მინისტრთა კაბინეტის ორი სხდომა და წმინდა ქალაქ ყუმში დაგეგმლი ოფიციალური ვიზიტი გააუქმა.

ირანის პარლამენტის 300-მდე დეპუტატმა აჰმადინეჟადს მოუწოდა ჰამენეის გადაწყვეტილებისათვის პატივი ეცა.

სააგენტო ფარსის ინფორმაციით, პარლამენტის დეპუტატების ჯგუფი ირანის პრეზიდენტს შაბათს შეხვდა და სცადა დაერწმუნებინა იგი, აიათოლა ჰამენეისადმი თავისი ლოიალობა დაედასტურებინა.

ირანში მოქმედ პოლიტიკურ სისტემას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. ირანის სასულიერო ლიდერი ყველა სახელისუფლებო სტრუქტურისა და ინსტიტუტის თავზე დგას და მას უმაღლესი სასულიერო ფენის წარმომადგენლები ირჩევენ და არა ხალხი.

გ.თ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.პორტიმორ. | 28 | 5 | 7 | 16 | 27:46 | 22 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ტომი ........ 1:2
ანჟი-როსტოვი ........ 1:0
კრასნოდარი-ზენიტი ........ 0:0
კრ.სოვეტოვი-რუბინი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 7 | 4 | 3 | 0 | 12:4 | 15 |
| 2.ლოკომოტ. | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| 3.ყუბანი | 7 | 4 | 0 | 3 | 8:6 | 12 |
| 4.ანჟი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:5 | 12 |
| 5.კრასნოდარი | 7 | 2 | 4 | 1 | 5:5 | 10 |
| 6.სპარტაკი | 7 | 3 | 1 | 3 | 5:9 | 10 |
| 7.ვოლგა | 7 | 3 | 0 | 4 | 8:5 | 9 |
| 8.ცსკა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:4 | 9 |
| 9.რუბინი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 9 |
| 10.როსტოვი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| 11.დინამო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| 12.ტერეკი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:4 | 8 |
| 13.ტომი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 |
| 14.კრ.სოვეტ. | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| 15.ნალჩიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| 16.ამკარი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-დანდი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 35 | 27 | 3 | 5 | 77:28 | 84 |
| 2.სელტიკი | 34 | 26 | 5 | 3 | 74:19 | 83 |
| 3.ჰართსი | 35 | 18 | 9 | 8 | 52:36 | 63 |
| 4.დანდი | 35 | 15 | 10 | 10 | 49:47 | 55 |
| 5.კილმანროკი | 35 | 13 | 9 | 13 | 51:46 | 48 |
| 6.მოზერველი | 35 | 13 | 6 | 16 | 39:51 | 45 |
| 7.ინვერნესი | 34 | 10 | 11 | 13 | 44:41 | 41 |
| 8.ჰიბერნიანი | 35 | 10 | 7 | 18 | 38:55 | 37 |
| 9.სტ.ჯონსონი | 35 | 9 | 10 | 16 | 20:43 | 37 |
| 10.აბერდინი | 35 | 10 | 5 | 20 | 36:55 | 35 |
| 11.სტ.მირენი | 34 | 7 | 8 | 19 | 32:55 | 29 |
| 12.ჰამილტონი | 34 | 3 | 11 | 20 | 21:56 | 20 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-ზალცბურგი ........ 1:2

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ბრიუგე ........ 0:0
ლოკერენი-გენკი ........ 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ბაზელი ........ 3:0
ქსამაქსი-სტ.გალენი ........ 2:1
ბელინცონა-ციურიხი ........ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

მანისა-ერჩიესი ........ 3:1
ქაისერი-ბურსა ........ 1:0
ტრაბზონი-გაზიანთეპი ........ 3:0
ფენერბახჩე-ისტამბული ........ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სიგმა-სლოვაცკო ........ 0:2
სლავია-უსტი ........ 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რუხი-კრაკოვია ........ 1:0
არკა-ლეჩნა ........ 2:2

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

კრივბასი-სევასტოპოლი ........ 3:1
ვორსკლა-ზარია ........ 1:0
დინამო-შახტარი ........ 3:0

## შედეგები

**დანია. სასლიგა**

სილკებორგი-რანდერსი ........ 2:2
ლუნგბიუ-ნორდსიელანდი ........ 1:0
კოპენჰაგენი-სონდერიისკე ........ 3:0
ბრონდბიუ-ჰორსენსი ........ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ტრელებორგი-დიურგარდენი ........ 3:2
კალმარი-სირიანსკა ........ 2:0
ჰელსინბორგი-ჰეკენი ........ 1:1

**აშშ. მლს**

დალასი-ლოს ანჯელესი ........ 2:1

### კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

ოკლაჰომა-მემფისი ........ 101:114
სერიის ანგარიში ........ 0;1
მაიამი-ბოსტონი ........ 99:90
სერიის ანგარიში ........ 1:0

### ჩოგბურთი

**ატპ. ბელგრადი. თიხა**

**ფინალი**

ჯოკოვიჩი-ლოპესი ........ 7:6;6:2

**ატპ. მადრიდი. თიხა**

მანარინო-მუნიოსი ........ 6:2;7:6
ანდრეევი-რიბა ........ 3:6;2:6
დე ბაკერი-კუბოტი ........ 2:6;6:4;6:2
როხუსი ო.-ჩიპოლა ........ 4:6;6:1;4:6
ვავრინკა-გარსია ლოპესი ........ 4:6;7:5;4:6
დოლგოპოლოვი-ჰირალდო ........ 1:6;5:7
ალმაგრო-ცონგა ........ 1:6;3:6
მონაკო-გოლუბევი ........ 2:6;6:2;6:2

**ატპ. მიუნხენი. თიხა**

**ფინალი**

დავიდენკო-მაიერი ........ 6:3;3;6;6:1

**ვტა. მადრიდი. თიხა**

ვოზნიაცკი-მორიტა ........ 6:2;6:3
რეზაი-არვიდსონი ........ 3:6;6:3;4:6
ჰალეპი-ბარტოლი ........ 4:6;1:6
ვესნინა-მირზა ........ 6:4;6:3
ივანოვიჩი-მატეკი ........ 6:0;4:6;4:6
ერანი-ზაკოპალოვა ........ 7:6;6:4
ვიკმაიერი-მაკაროვა ........ 4:6;4:6
იოვანოვსკი-არნი ........ 6:4;2:6;6:3
ნიკულესკუ-სჰეპერსი ........ 6:4;3;6;6:7
პეტროვა-კინგი ........ 1:6;6:7
იანკოვიჩი-პოუს ტიო ........ 6:2;6:0

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალი 4 მოგებამდე**

სან ხოსე-დეტროიტი ........ 2:1
სერიის ანგარიში ........ 2:0
ვაშინგტონი-ტამპა ბეი ........ 2:3(ოტ)
სერიის ანგარიში ........ 0:2

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

შვეიცარია-ბელარუსი ........ 4:1
სლოვაკეთი-გერმანია ........ 3:4
რუსეთი-სლოვენია ........ 6:4
კანადა-საფრანგეთი ........ 9:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# TV პროგრამა

**სამშაბათი 3 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **21.00, 03.10** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **22.40** **ჩემპიონთა ლიგა**. განმეორებითი ნახევარფინალი. ბარსელონა-რეალი **00.40** მოამბე **01.00** მხ.ფ.**"გაქცევა აბსოლომიდან"** (18) (რ. ლიოტა) **05.10** მხ. ფილმი **"ყველა წესის დარღვევით"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"მეხთამცემელი"** **01.00** მხ. ფილმი **"არასოდეს ელაპარაკო უცნობებს"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა 20 ათასი **00.00** მხ. ფილმი **"შოტლანდიის უკანასკნელი მეფე"** (18) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** მოკლმ. ფილმი **"კოიოტი"** (12) (ჯ. ბლეინი) (სუბტ.) **01.30** მხ. ფილმი **"დაბრუნება ბრაიდსდეში"** (12) (მ. გუდი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"პირდაპირ მოქმედება"** (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"დიდი გასეირნება"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ.ფ."ცარიელია სახლი" **10.50** მუს. ფილმი "პიანისტი" (ა. კორსანტია) **11.25** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჭრიჭინა"** **13.45** გენო ადამიას ხსოვნის საღამო **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"იმერული ესკიზები"** **16.45** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.10** დოკ. ფილმი "მოქცევაი ქართლისაი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მზე შემოდგომისა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.25** კონცერტი – ე. ვირსალაძე **00.50** მხ. ფილმი **"ვერის უბნის მელოდიები"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

თბილისი, მზე, ღრუბელი, 24-25, 12-13
გურჯაანი, წვიმა, 19-20, 9-10


# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6447
ევრო —2,3896
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6943
რუსული რუბლი — 0,0584

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-25, ღამით — 8-13
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-26, ღამით — 12-15
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 16-21, ღამით — 2-3

## ამინდის პროგნოზი 3 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# სკანდალი ქართულ ფეხბურთში

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გამოავლინეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბების კორუფციული გარიგებები ტოტალიზატორების შავი ბიზნესის წარმომადგენლებთან.**



გამოვლენილი იქნა: საფეხბურთო კლუბ „სამტრედიის" კაპიტანი სპარტაკ გოგია, ფეხბურთელი კახაბერ კირთაძე; ზუგდიდის „ბაიას" კაპიტანი როინ ონიანი, ფეხბურთელი ლევან ვართაგავა; თბილისის „ვიტ-ჯორჯიას" კაპიტანი გიგა ბექვაია.

ეს ფეხბურთელები სისტემატურად შედიოდნენ ფარულ გარიგებაში ტოტალიზატორის შავი ბიზნესის წარმომადგენელთან დავით გაბედავასთან და დიდი ოდენობით თანხების სანაცვლოდ, წინასწარ ხელოვნურად განსაზღვრავდნენ თამაშების შედეგებს, ამგვარად, გამოვლენილი იქნა შემდეგი თამაშები:

2011 წლის 15 აპრილს გამართული „სამტრედიის" და ბოლნისის „სიონის" მატჩი, რომელშიც სამტრედიის გუნდმა აიღო 15 000 ლარი. 2011 წლის 19 აპრილს ჩატარებული თბილისის „დინამოსა" და ზუგდიდის „ბაიას" მატჩი, „ბაიას" გუნდმა აიღო 12 000 ლარი. 2011 წლის 30 აპრილს ჩატარებულ „ვიტ-ჯორჯიასა" და „სიონის" მატჩი, „ვიტ-ჯორჯიას" გუნდმა აიღო 20 000 ლარი.

ძიება გრძელდება, გამოძიებას აწარმოებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი. თუმცა, გუშინვე ცნობილი გახდა, რომ დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს ბექვაია და კირთაძე. ჯერჯერობით უცნობია, რა ბედი ეწევათ დანარჩენ დაკავებულებს და გაიზრდება თუ არა მათი რაოდენობა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გუშინვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა საგანგებო ბრიფინგი და ჟურნალისტების წინაშე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ისაუბრა.

— სამწუხარო ფაქტი გამოვლინდა — დაკავებულია რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც წინასწარ აწარმოებდნენ გარიგებებს მოლაპარაკებულ მატჩებთან დაკავშირებით. ჩემი ფედერაციაში მისვლის დღიდან ვებრძვით მსაჯებს, რომ მსგავს ფაქტებს ადგი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# იუმორი



***

— ხანდახან კარგი განწყობილება მხოლოდ სქესობრივი გზით გადაეცემა...

***

— ფიტნეს კლუბის აბონემენტი ვიყიდე, კვირაში ორჯერ სამუშაო დღეებში უნდა ვიარო, ერთხელ — უიკენდზე.

— შარშან მეც ვიყიდე. მეც ვიყავი, ორჯერ სამუშაო დღეებში, ერთხელ — უიკენდზე.

***

— ჰიპოკრატეს ფიცის ახალი რედაქცია ასე იწყება: „მხოლოდ სადაზღვევო პოლისის შემთხვევაში..."

***

— კანონი ყველასთვის ერთი და იგივეა, გამონაკლისია სხვადასხვა...

***

— ჭკვიანმა ადამიანებმა იციან, რომ რასაც გვეუბნებიან, მხოლოდ ნახევარია მართალი.

— და მხოლოდ ძალიან ჭკვიანებმა იციან, რომელი...

***

— მეზობლები მხოლოდ იდიოტურ მუსიკას უსმენენ...

***

— დელფინები ძალიან ჭკვიანი ცხოველები არიან. ტყვეობაში მოხვედრის შემდეგ ადამიანებს აუზის პირას დგომას და მათთვის თევზის გადაგდებას ძალიან სწრაფად ასწავლიან.


# 2 მაისიდან

## იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის" და „სახალხო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 4**

# ჩერჩილი

**მე-2 ნაწილი**

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


# ასტროპროგნოზი

3 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მორიელი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** — მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. მეთაურთა სამხედრო ჩინი; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 6. უძველესი ქართული აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი, ვიწრო ხის ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. რომელიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. ქართველ ქალთა ცეკვა; 19. ფრანგული სიგარეტი; 21. ტვირთბრუნვით ირანის ყველაზე დიდი ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. გოეთეს ტრაგედია; 5. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი; 7. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. ღვინის საპატივცემულო საახალწლო რიტუალი ძველად საქართველოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 25. შავი ფისი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

